# საქართველო
# რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№155 (9986) 2025 წლის 21 ნოემბერი, პარასკევი


## გამოვგლიჯოთ ბავშვები კრიმინალურ სამყაროს!

იხ. 4 გვ.



**SOS!**

**სპეციალური კანონი 14 წლამდე მოზარდებზე — როგორ შეეცდება სახელმწიფო არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას**



5

## მისი სამეცნიერო ნაღვაწით დღესაც ამაყობს ქართველი ერი

**გიორგი ჩუბინაშვილი — 140**




იხ. 3 გვ.

## თბილისი სტრატეგიული „მოთმინების რეჟიმშია“...

**ელის თუ არა საქართველო ტრამპის გადაწყვეტილებას?**



12

## „ვერიკო და სესილია“ მარჯანიშვილის თეატრში

## ირაკლი კობახიძე სომხეთის პრეზიდენტს შეხვდა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე სომხეთის პრეზიდენტს, ვაჰაგნ ხაჩატურიანს შეხვდა, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა.**

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ცნობით, პირისპირ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და სომხეთს შორის არსებულ მრავალწლიან კეთილმეზობლურ ურთიერთობებსა და სტრატეგიული პარტნიორობის განვითარების პოზიტიურ დინამიკაზე. ხაზი გაესვა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ირაკლი კობახიძემ ვაჰაგნ ხაჩატურიანს საქართველოში ვიზიტისა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

**საქართველოს ხელისუფლებას გულთბილი დახვედრისთვის მადლობა გადაუხადა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა. მან ორმხრივი ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებაზე გაამახვილა ყურადღება. პირისპირ შეხვედრის შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, მთავრობის წევრებთან ერთად, სომხეთის პრეზიდენტს და მის დელეგაციას ოფიციალურ სადილზე უმასპინძლა.**

იხ. 2 გვ.

LE FIGARO

## ოთხი კოშმარი ზელენსკისთვის!..



8

**ევროპაში ჟამიანობა გრძელდება!**



## ლუი არმსტრონგი — ამერიკული ჯაზის ლეგენდა

9

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# სომხეთის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში

## „მიხეილ ყაველაშვილთან ვისაუბრე სომხეთ–საქართველოს ყოვლისმომცველ ორმხრივ დღის წესრიგზე“...



„სასიამოვნოა დაბრუნება მეგობარ საქართველოში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში. დეტალური საუბარი მქონდა პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილთან სომხეთ-საქართველოს ყოვლისმომცველ ორმხრივ დღის წესრიგზე. ხაზი გავუსვი ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის უდიდეს მნიშვნელობას. ყურადღება გავამახვილე ყველა დონეზე ჩვენი ქვეყნების ხელისუფლებებს შორის რეგულარული დიალოგის მნიშვნელობაზე, მათ შორის უმაღლეს დონეზე. ხაზი გაესვა „მშვიდობის გზაჯვარედინის“ ინიციატივას და მის ასახვას რეგიონულ ვაჭრობასა და ურთიერთდაკავშირებაზე. მადლიერი ვარ თბილი მიღებისთვის და ჩვენი საერთო მიზნების, ღირებულებების წინსვლის ერთგული ვარ“, – წერს სოციალურ ქსელში სომხეთის პრეზიდენტი **ვაჰაგნ ხაჩატურიანი.**

## შალვა პაპუაშვილი სომხეთის პრეზიდენტს შეხვდა



**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ვაჰაგნ ხაჩატურიანს შეხვდა.**

საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, შალვა პაპუაშვილი მიესალმა სომხეთის პრეზიდენტის საქართველოს პარლამენტში მეორედ მასპინძლობის შესაძლებლობას და აღნიშნა, რომ შეხვედრა შედგა ორ ქვეყანას შორის ინტენსიური ურთიერთობების, ასევე, სამხრეთ კავკასიის რეგიონში პოზიტიური დინამიკის ფონზე.

მათივე ცნობით, შეხვედრაზე ხაზი გაესვა მაღალი და უმაღლესი დონის ვიზიტების სიხშირეს, რაც საქართველოსა და სომხეთს შორის ტრადიციულ მეგობრობას ადასტურებს.

საქართველოს პარლამენტის ცნობით, შეხვედრაში ასევე მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ილია ინჯიამ,** საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე **ნიკოლოზ სამხარაძემ,** ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე **შოთა ბერეკაშვილმა,** სომხეთთან მეგობრობის ჯგუფის წევრმა **სუმბატ კიურეღიანმა.**

# ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი: წელს საქართველოს კერძო სექტორში 300 მლნ ევროზე მეტის ინვესტირებას ვგეგმავთ!

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კავკასიის რეგიონული ხელმძღვანელი **ალკის ვრიენიოს დრაკინოსი** აცხადებს, რომ საქართველოს კერძო სექტორისთვის 300 მლნ ევროთი დახმარებაა დაგეგმილი.

**„ძალიან ვართ მოწოდებული, რომ კვლავაც დავუჭიროთ მხარი საქართველოს კერძო სექტორსა და ქვეყნის განვითარებას. მაგალითად, წელს საქართველოში სხვადასხვა სექტორში, ბანკებში, მცირე და საშუალო საწარმოში 300 მილიონ ევროზე მეტი ინვესტიციის განხორციელებას ვგეგმავთ. ამ ეტაპზე ყურადღებას არსებული პროექტების განვითარებისა და მონიტორინგის ვამახვილებთ. გვაქვს პრიორიტეტები და შესაბამისად ვაკვირდებით, სად და რას გავაკეთებთ. ასე რომ გავაგრძელებთ რეგიონული მნიშვნელობის პროექტების კვლევასა და განვითარებას“,** – აცხადებს **დრაკინოსი.**

**„„შუა დერეფანი“ ძალიან მნიშვნელოვანი კონცეფცია და ინიციატივაა და საქართველო მის შუაგულში მდებარეობს. მთელმა კავკასიამ გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს აზიისა და ევროპის დაკავშირებაში, ხოლო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ძალიან დაინტერესებულია ჩაერთოს ყველა პროცესში, ყველა განხილვასა და პროექტის კვლევით ეტაპში. ჩვენ უკვე აქტიურად ვმუშაობთ ყველა იმ ქვეყანაში, რომლებიც შუა დერეფნის ნაწილს შეადგენენ, ცენტრალური აზიიდან კავკასიის ჩათვლით“,** – განაცხადა მან.

# „პროფესია – პოლიციელი“

**შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს საჯარო სკოლებში კიდევ ერთ პროექტს იწყებს. ახალი კამპანიის – „პროფესია პოლიციელი“ მიზანი ახალგაზრდებისთვის საპოლიციო საქმიანობის გაცნობა და მოზარდებში ამ პროფესიის პოპულარიზაციაა.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა, განათლების მინისტრთან ერთად, ახალი კამპანიის პროექტი სასკოლო საზოგადოებას, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში წარუდგინა. ღონისძიების ფარგლებში, მინისტრებმა, სკოლის მოსწავლეებთან ერთად, სპეციალურად მოზარდებისთვის, აკადემიის ტერიტორიაზე მოწყობილი შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის სტენდები დაათვალიერეს და სიმულაციურ აქტივობებს დაესწრნენ.



**„შინაგან საქმეთა სამინისტრომ, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად, დაიწყო ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი – „პროფესია პოლიციელი“, რომელიც ემსახურება მთავარ მიზანს – ახალგაზრდებმა გაიგონ მეტი შსს-ს საქმიანობის შესახებ. მათ შესაძლებლობა ექნებათ, შს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფებში, ადგილზე გაეცნონ მათ მიღწევებს, შედეგებს და წარმატებას ყოველდღიურ საქმიანობაში. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული აქტივობები ხელს შეუწყობს, ახალგაზრდები დაინტერესდნენ და ჩვენ დავაინიციირეთ კანონმდებლობა, რომ შსს-ს აკადემია იქნება პროფესიული უმაღლესი სასწავლებელი, სადაც მომავალი თაობა შეძლებს დაეუფლოს სხვადასხვა პროფესიებს“,** – განაცხადა შს მინისტრმა.



**19 ნოემბერს გაიმართა თბილისის მთავრობის სხდომა. მას დედაქალაქის მერი კახა კალაძე უძღვებოდა. განხილულ საკითხთაგან მხოლოდ მთავარზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.**

# ბიუჯეტი, ფეხბურთი, გაზრდილი ჯარიმები და ცალმხრივი, ხისტი შეფასებები!..

**საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ძალიან ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. ეს ის თაობაა, რომელმაც ფეხბურთის სიყვარული განსხვავებულ ნიშნულზე აიყვანა.**

გვქონდა კარგი თამაშები, ისტორიაში პირველად მოვხვდით ევროპის ჩემპიონატზე. მარცხი ყოველთვის დასანანია. წინასწარ რთულია ისაუბრო იმაზე, რომ ყველა თამაშს მოიგებ. ხდება წარუმატებლობაც. მინდა, ჩვენს ბიჭებს მივმართო, გული არ გაიტეხოთ. მთავარია, სწორი ანალიზი გაკეთდეს, რა იყო მიზეზი ამ წარუმატებლობისა. შეუძლებელია, ყოველთვის კარგად ითამაშო. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს გიჭერთ, გვერდში გიდგავართ მაშინაც კი, როცა წარუმატებლობაა. გული არ გაიტეხოთ, თავი მაღლა ავწიოთ და გავაკეთოთ ანალიზი, რატომ იყო ჩვენი თამაშები წარუმატებელი და შემართებით მოვემზადოთ შემდეგი ციკლისთვის. ვხედავთ მიზანმიმართულ კამპანიებს ფეხბურთელების მიმართ. ვინც ჯანსაღად აზროვნებს და უყვარს ჩვენი ქვეყანა, ყველა თქვენს გვერდითაა. მახსოვს წარუმატებელი პერიოდი, როცა ვერ ვიგებდით თამაშებს და გულშემატკივრების უმრავლესობა, მიუხედავად ნიჰილიზმისა, თქვენს გვერდით იყო, არასდროს მიუტოვებიხართ. ასე იქნება მომავალშიც – სახელმწიფოც და გულშემატკივარიც გვერდით დაგიდგებით, რომ იყოთ წარმატებულები, რადგან თქვენი გამარჯვება ჩვენი ქვეყნის წარმატებაა...

* * *

**თბილისის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი უკვე გადაგზავნილია დედაქალაქის საკრებულოში. ეს არის პირველადი ვარიანტი და ბიუჯეტის საბოლოო, უკვე გაზრდილი ვერსია საკრებულოს 10 დეკემბერს წარედგინება. მისი საერთო მოცულობა შეადგენს 2 082 482 000 ლარს, რაც შარშანდელთან შედარებით, თითქმის 100 მილიონი ლარით მეტია.**

შემოსავლების წყაროების განაწილება ასეთია:საკუთარი შემოსულობები – 1 474 814 000 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი – 580 000 000 ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები (დღგ სესხის ფარგლებში) – 25 480 000 ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი

**საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობები კვლავაც რთულ ფაზაშია. მართალია, ხელისუფლება ღიად გამოხატავს მზადყოფნას, „სუფთა ფურცლიდან“ დაიწყოს სტრატეგიული პარტნიორობის განახლება „კონკრეტული გზამკვლევით“, მაგრამ ვაშინგტონიდან მკაფიო პასუხი ჯერჯერობით არ ისმის. დონალდ ტრამპის ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკა საქართველოს მიმართ კვლავ ბუნდოვანია, რაც თბილისს „სტრატეგიული მოთმინების“ რეჟიმში აყენებს.**

**გარკვეულწილად, ეს მოლოდინი განმტკიცებულია აშშ-ის ოფიციალური პირების ვიზიტებით, რომლებიც, ერთი მხრივ, ტრამპის ადმინისტრაციის რეგიონულ ინიციატივებზე მიუთითებს, მეორე მხრივ კი საქართველოს ხელისუფლების კრიტიკით არის დაბალანსებული. ოპტიმიზმის საფუძველი, შესაძლოა, სწორედ „ტრამპის მარშრუტის საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის“ (TRIPP) ინიციატივაში მოიძებნოს, რომელიც საქართველოს სატრანზიტო როლის გაძლიერებას გულისხმობს. თუმცა, ურთიერთობის გადატვირთვაზე საუბარი ნაადრევია, სანამ ტრამპის ადმინისტრაცია კონკრეტულ ნაბიჯებს არ გადადგამს.**

## რა იქნება ხვალ?!

# თბილისი სტრატეგიული „მოთმინების რეჟიმშია“...

## ელის თუ არა საქართველო ტრამპის გადაწყვეტილებას?




### ვიზიტები და სიგნალები

**აშშ-ის ადმინისტრაციის სიგნალები არაერთგვაროვანია. სახელმწიფო მდივნის მოადგილე ელისონ ჰუკერი ერევანსა და ბაქოს ეწვია, თუმცა თბილისში ვიზიტი არ დაუგეგმავს.**

ამის პარალელურად, თბილისში იმყოფებოდა სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსი მრჩეველი ჯონათან ასკონასი, რომლის ვიზიტის მიზანიც, საელჩოს ინფორმაციით, საქართველოს მიერ TRIPP-ის მხარდაჭერის განხილვა იყო.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი, ჯონათან ასკონასის დელეგაციას შეხვდა, სადაც ყურადღება გამახვილდა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებაზე და TRIPP-ის პოზიტიურ ეფექტზე რეგიონზე. ამ შეხვედრაზეც დადასტურდა საქართველოს მზაობა ურთიერთობების განახლებისთვის.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ კი ხაზი გაუსვა „სტრატეგიული მოთმინების“ რეჟიმს და იმედი გამოთქვა, რომ ახალი ადმინისტრაციის ინტერესები გადაწონის იმ „არაფორმალურ მმართველობას“, რომელიც წინა წლებში აშშ-ის პოლიტიკაზე სრულ გავლენას ახდენდა.

**„აშშ-თან ჩვენ კვლავაც ვიმყოფებით სტრატეგიული მოთმინების რეჟიმში, ნათქვამი გვაქვს არაერთხელ, რომ გვინდა სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენა სუფთა ფურცლიდან და კონკრეტული გზამკვლევით... ჯერჯერობით, ვხედავთ პასიურობას. შევხედავთ, ვინ გადაძალავს – არაფორმალური მმართველობა, რომელიც ზუსტად ისეთი გავლენით სარგებლობდა, სრული ტოტალური გავლენით გასული ოთხი წლის განმავლობაში აშშ-ზე, როგორც დღემდე სარგებლობს ევროკავშირის მიმართ, თუ კვლავაც არაფორმალური მმართველები მიიღებენ უპირატესობას საქართველოსთან მიმართებით, მაშინ, შეიძლება, არც არაფერი შეიცვალოს. თუ გაიმარჯვებს ახალი ადმინისტრაცია ამ დაპირისპირებაში, მაშინ გვექნება სიახლე. ჩვენ მოთმინებით ველოდებით ამ ყველაფერს და იმედი გვაქვს, რომ, საბოლოო ჯამში, არაფორმალურ მმართველობას სძლევს ამერიკელი ხალხის სუბიექტური ინტერესები“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

ამ მოლოდინის პარალელურად, ჰელსინკის კომისიის სხდომაზე, საქართველოს ხელისუფლების მიმართ მწვავე განცხადებები გაკეთდა. ამერიკელი კონგრესმენებისა და სენატორების ნაწილი ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის კრიტიკულ პოზიციას აგრძელებს, რაც „გაყალბებულ არჩევნებს“ და „ქართული ოცნების“ ერთპარტიულ დიქტატურას უკავშირდება.

ამერიკელმა მაღალჩინოსანმა ჯო უილსონმა ტრაგიკული უწოდა ვითარებას, რომელიც საქართველოში ხდება და დასვა კითხვა, რა უნდა გაკეთდეს „ოცნების“ „დიქტატურის“ წინააღმდეგ?!

სენატორმა **რიკერმა** კი აღნიშნა: **„მადლობა, ბატონ უილსონს, ურყევი და მამაცი ქართველი ხალხის გახსენებისთვის, ვინც დგას ზამთრის სიცივეში და ზაფხულის სიცხეში, მთელი ერთი წლის განმავლობაში, გაყალბებული და უკანონო არჩევნების გასაპროტესტებლად, რაც უკვე მიჩნეულია ევროკავშირისა და ამერიკელების მხრიდან“,** – განაცხადა მან.

ანალიტიკოსი **პეტრე მამრაძე** კი ამბობს, რომ საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობების მომავალი ტრამპის ადმინისტრაციის მკაფიო პოზიციაზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ TRIPP-ის ინიციატივა ოპტიმიზმის გარკვეულ საფუძველს იძლევა, კონგრესისა და სენატის ნაწილის მწვავე კრიტიკა იმას ადასტურებს, რომ ბაიდენისდროინდელი პრობლემები კვლავ აქტუალურია.

**„ფაქტია, საქართველო კვლავაც „სტრატეგიული მოთმინების“ რეჟიმში რჩება, რადგან ვაშინგტონიდან ჯერჯერობით მხოლოდ დუმილი ისმის. ორ ქვეყანას შორის მძიმე ურთიერთობის გადატვირთვა, შესაძლოა, მოხდეს, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ტრამპის ადმინისტრაციამ პრიორიტეტულად მიიჩნიოს საქართველოსთან თანამშრომლობა და გადაწონოს კრიტიკულად განწყობილი ჯგუფების გავლენა. თბილისის მზაობა „სუფთა ფურცლიდან“ ურთიერთობების დასაწყებად, ამ ეტაპზე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შედეგიანი აღმოჩნდეს“,** – ამბობს **მამრაძე.**

მისი მთავარი არგუმენტი ტრამპის ადმინისტრაციის მერკანტილურ-პრაგმატულ მიდგომას უკავშირდება.

**„ცდა ბედის მონახევრეაო, მაგრამ რაც მე ვიცი, აშშ-ს ადმინისტრაციასა და სახელმწიფო დეპარტამენტში ვითარება, ჯერჯერობით, იქ ინტერესი საქართველოს მიმართ მცირეა. ტრამპის ადმინისტრაციის ყურადღების ცენტრში ის ქვეყნები დგანან, რომლებიც მზად არიან, მრავალმილიარდიანი ინვესტიციები შესთავაზონ. მაგალითად, ახლახან იაპონიამ 500 მილიარდი შესთავაზა. ამაზეა ყურადღება და მე ვიცი შემთხვევები, იმ ქვეყნის მეთაურებს, რომელმაც 4 მილიარდზე მეტი ვერ შეძლო, ტრამპი საერთოდ არ შეხვდა“,** – განმარტავს **მამრაძე.**

მისი თქმით, ეს არის მკაცრად პრაგმატული პოლიტიკა:

**„ამ მერკანტილურ-პრაგმატულ მიდგომაში ჩვენ არავინ არ გვჭირდება, მაგრამ თუ ვინმეს ფულის შემოტანა უნდა, კი ბატონო, კარი ღიააო. საქართველოს არ შეუძლია ამერიკისთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ინვესტიციის შეტანა. აი, ყატარს, არაბულ ქვეყნებს, ნავთობის ქვეყნებს შეუძლიათ ტრილიონების შეთავაზება, ახლა ვენესუელას შეუძლია გაურიგდეს. აი, საქართველოს მიმართ ვერ ვხედავ, რომ ტრამპის იოტისოდენა ინტერესი გაჩნდეს“,** – აღნიშნავს ანალიტიკოსი.

მამრაძის აზრით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გადატვირთვა ამ ეტაპზე, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია არა ქართულ მხარეზე, არამედ ტრამპის ადმინისტრაციის პრიორიტეტებზე, რომლებიც ფოკუსირებულია ფინანსურ სარგებელზე, რასაც საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს.

**ლიკა ბერიკაშვილი**

---

– 1 783 000 ლარი. ბიუჯეტის ოდენობა გადანაწილდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ეკოლოგიის გაუმჯობესება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ჯანდაცვა და სოციალური მიმართულება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა. 2026 წელს ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის განსაზღვრულია 479 920 000 ლარი და გულისხმობს ყველა დაპირებულ მსხვილ პროექტს. ასევე გათვალისწინებულია ტრანსპორტის მიმართულებით დაპირებული მნიშვნელოვანი პროექტები: ტრამვაის ხაზის პროექტირება და მშენებლობა, მეტროს მოდერნიზება და სხვა; ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით გათვალისწინებულია 583 944 000 ლარი, რაც 2025 წელთან შედარებით, 50 091 000 ლარით მეტია. მათი წილი ბიუჯეტში შეადგენს 28%-ს. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 168 000 000 ლარის დონორული დაფინანსება.

* * *

**2026 წლიდან ზოგიერთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე ჯარიმების ოდენობა გაიზრდება.**

ის ჯარიმები, რომლებიც ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დამუშავებას, მის არასათანადო წესით ტრანსპორტირებას, ბეტონმზიდი მანქანიდან ბეტონის დაღვრას, ასევე, მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის არასწორად განთავსებასა და რეალიზაციას ეხება, დაახლოებით, 5-ჯერ გაიზრდება. მოვამზადეთ კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, ჯარიმები, რომელიც დღეს შეადგენს 500-დან 6 000 ლარამდე, სხვადასხვა დარღვევისთვის გაიზრდება 2 500-დან 30 000 ლარამდე. აღნიშნულ სამართალდარღვევებზე ჯარიმების დაკისრება რამდენჯერმე გადავადდა, რათა ამ ბიზნესით დაინტერესებული სუბიექტები სათანადოდ მომზადებულიყვნენ. მათ უნდა მოემზადებინათ სარეალიზაციო ადგილები დადგენილი წესის შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენით გაიზრდება ჯარიმები სხვადასხვა სამართალდარღვევაზე, მექანიზმს ბოლომდე ვერ ექნება პრევენციული ხასიათი, თუ პროცესი ბოლომდე არ მივიდა. ჩვენი შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი ჯარიმას რომ გამოწერს და ჩასაბარებლად მიდის, კონკრეტული ობიექტის მეპატრონე არ იბარებს ხოლმე. ეს ყველაფერი, ცხადია, კეთდება მიზანმიმართულად, რადგან თუ ამ გადაწყვეტილებას არ ჩაიბარებს პირი, ვერ მოხდება ამ ჯარიმების აღსრულება. შესაბამისად, შეიძლება წლები ისე გავიდეს, რომ პირმა საერთოდ არ ჩაიბაროს ეს გადაწყვეტილება და არც ამ ჯარიმის გადახდა მოუწიოს. აქედან გამომდინარე, შევიმუშავეთ კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, თუ პირი ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებას არ ჩაიბარებს დადგენილი წესით, აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და მისი გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს ეს გადაწყვეტილება ჩაითვლება ჩაბარებულად. ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტს უკვე შეეძლება, რომ გადაწყვეტილება აღსრულოს, თუ, რა თქმა უნდა, პირი ამის შემდეგ სასამართლოს არ მიმართავს.

* * *

**ტაქსების რეფორმის განმავლობაში აქტიური და უშუალო კომუნიკაციები მიმდინარეობდა ამ სფეროთი დაინტერესებულ თითოეულ პირთან. ხდებოდა მათთან შეხვედრები, მოსაზრებების გაცვლა და შეიძლება ითქვას, რომ პროცესი მხარეთა მაქსიმალური ჩართულობით მიმდინარეობდა.**

ამ პროცესებში იყო შემთხვევები, როცა მგზავრთა ტაქსით გადაყვანა ხორციელდებოდა ნებართვის გარეშე ან სანებართვო პირობების დარღვევით. ის პირები, რომლებმაც 2025 წლის 1 ნოემბრამდე განახორციელეს ტაქსით მომსახურება უნებართვოდ ან სანებართვო პირობების დარღვევით, დაკისრებული ჯარიმებისგან გათავისუფლდებიან. თუმცა, აქვე განვმარტავ, რომ 2025 წლის 1 ნოემბრის შემდეგ ჩადენილ სამართალდარღვევებზე უკვე განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები მთელი სიმკაცრით. მივმართავ მოსახლეობას, რომ გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული საკითხები. ამ საკანონმდებლო ცვლილებებს მივაწოდებთ პარლამენტს.

**19 ნოემბერი, 2025 წ.**

---

*ანონსი*

## ბატონო მერო, კახა კალაძევ!

**ბოლო დღეებში „აფეთქდა“ სოციალური ქსელები, რადიო-ტელევიზიები, საინფორმაციო საშუალებების რედაქციები – ათასობით მძღოლი აღშფოთებულია ავტოდარღვევებზე საჯარიმო სანქციების კიდევ ერთხელ გაზრდის გამო!**

**ყველა მათგანს ერთსულოვნად მიაჩნია, რომ ჯარიმები არაადეკვატურად იზრდება, „ინსპექტორ-შემმოწმებლები“ ჩასაფრებული, მომხვეჭელი აგენტებივით მოქმედებენ, არავის არაფერს პატიობენ! არადა, დღეს თბილისელთა აბსოლუტური უმრავლესობა მძღოლია! მათი სამართლიანი აღშფოთება სახალხო პროტესტში არ უნდა გადაიზარდოს! მტრისას – ბიუჯეტის ამ ხერხით გამდიდრება მოსახლეობის ნებადართულ ძარცვა-გლეჯას ნიშნავს!..**

**დანარჩენი იხილეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მომავალ ნომრებში!**




# უვიზო მიმოსვლის შეჩერების გარდა, რა ბერკეტს აამოქმედებს ევროპა საქართველოს წინააღმდეგ?

**ევროპარლამენტარების გარკვეული ნაწილი საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერებასა და დამატებითი სანქციების შემოღებას აქტიურად ითხოვს. კერძოდ, ევროპარლამენტარი პეტრას აუსტრევიჩუსი წერს, რომ სასწრაფოდ საჭიროა საქართველოსთან ვიზალიბერალიზაციისა და სხვა გადაწყვეტილებების გადახედვა, თუმცა კონკრეტულად რა მოიაზრება ამაში, უცნობია.**

საქართველოში ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ უვიზო მიმოსვლა არათუ საქართველოს მოქალაქეებს შეეხებათ, არამედ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაგრამ შესაძლებელია ევროკავშირმა ქვეყანაში სხვადასხვა პროექტების დაფინანსება შეწყვიტოს.

**„საქართველომ ევროკავშირის რეკომენდაციით დაარსებული ანტიკორუფციული ბიუროს გაუქმება გადაწყვიტა, როგორც გარედან თავსმოხვეულის. სასწრაფოდ საჭიროა ვიზალიბერალიზაციისა და სხვა სექტორული გადაწყვეტილებების გადახედვა“**, – დაწერა **აუსტრევიჩუსმა.**

ამასთან, როგორც ცნობილია, ევროკავშირის საბჭომ უვიზო მიმოსვლის შეჩერების განახლებული წესები დაამტკიცა. უვიზო მიმოსვლის შეჩერების ახალი მექანიზმი საშუალებას მისცემს ბრიუსელს, უფრო სწრაფი და გადამწყვეტი რეაგირება მოახდინოს იმ სიტუაციებზე, როდესაც უვიზო მიმოსვლის ბოროტად გამოყენება ხდება ან ის ეწინააღმდეგება ევროკავშირის ინტერესებს. ახალი წესების მიხედვით, უვიზო მიმოსვლის შეჩერების საფუძვლები გაფართოვდება.

**„როდესაც ახალი წესები შევა ძალაში, ევროკავშირს შეეძლება, გააუქმოს უვიზო მიმოსვლა მესამე ქვეყნებთან, თუ ეს სახელმწიფო არ შეესაბამება ევროკავშირის სავიზო პოლიტიკას. ამას გარდა, ევროკავშირს შეეძლება ვიზალიბერალიზაციის გაუქმება, თუ ამა თუ იმ ქვეყანას ექნება მოქალაქეობის ინვესტორებისთვის მინიჭების პროგრამა; უვიზო მიმოსვლა გაუქმდება, თუ მესამე ქვეყნის ევროკავშირთან ურთიერთობები გაუარესდება, მაგალითად, ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში“**, – ნათქვამია პრესრელიზში.

აღნიშნულ საკითხს გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, რომელმაც თქვა, რომ არსებული რეგულაციებით ვერანაირად ვერ მოგვიდგნენ, რომ საქართველო დასაჯონ, ამიტომ ბრიუსელი ცდილობს, რეგულაციები მოარგოს ცალკეულ ქვეყნებს.

**„უნდა გავიხსენოთ, საერთოდ, რა ფონზე მიდის ამ ცვლილებებზე მსჯელობა, როდესაც თან ურთავენ ხოლმე კომენტარებს, რომ როცა ამ ცვლილებებს მიიღებენ, შეიძლება საქართველოსთან დაკავშირებით იქნას გამოყენებული. ეს ადასტურებს ორ რამეს: პირველი – ცვლილებას იმიტომ იღებენ, რომ საქართველო უვიზო რეჟიმის პირობებს არ არღვევს... იმ კომენტარების ფონზე, რომ ეს ცვლილებები, შესაძლოა, საქართველოს უკავშირდებოდეს, უკვე დასტური და აღიარებაა, რომ საქართველო უვიზო მიმოსვლის პირობებს არ არღვევს. თავის დროზე დიპლომატიურ პასპორტებთან დაკავშირებით უვიზო მიმოსვლის გაუქმება საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევა იყო; მეორე – ეს აჩვენებს იმ ანტიდემოკრატიულ გზას, როდესაც ბრიუსელი ცდილობს, რეგულაციები მოარგოს ცალკეულ ქვეყნებს. ეს არის ზუსტად ყველაზე ნათელი მაგალითი ბრიუსელის ანტიდემოკრატიულობისა და ღირებულებითი სტაგნაციისა, როდესაც ევროკავშირის რეგულაციების მორგებას ერთ ქვეყანაზე ცდილობს. ეს მთლიანი პროცესი მხოლოდ დასტურია იმ ღირებულებითი კრიზისისა, სადაც დღეს ბრიუსელია შესული“**, – განაცხადა **პაპუაშვილმა.**

კონსტიტუციონალისტმა **ვახტანგ ხმალაძემ** For.ge-სთან ინტერვიუში თქვა, რომ ევროპარლამენტარების დიდი ნაწილი მხარს უჭერს უვიზო მიმოსვლის შეჩერებას ცალკეულ პოლიტიკოსებისთვის:

**„სანქციებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა – ევროპარლამენტარების უმრავლესობა მხარს უჭერს არა ზოგადად ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას, არამედ შერჩევით შეჩერებას, კერძოდ, უვიზო მიმოსვლის შეჩერებას ხელისუფლების – „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებისთვის. ევროპარლამენტარების მცირე რაოდენობაა, რომელიც მთლიანად ქვეყნისთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას მოითხოვს, მაგრამ დიდია ალბათობა იმისა, რომ მთლიანად ქვეყანას არ შეუჩერდეს უვიზო მიმოსვლის უფლება, არამედ შერჩევითად მოხდეს ეს...**

**სხვა რა ბერკეტი შეიძლება იქნეს გამოყენებული? – გარკვეული სანქციები უკვე მოქმედებს, კერძოდ, საქართველოსთვის ევროკავშირის სხვადასხვა პროექტების დაფინანსებას ეხება, ასევე ხელისუფლების ფინანსურ დახმარებას.**

**საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების მოქმედებებიდან გამომდინარე და ასევე, მისი დამოკიდებულების გამო ევროკავშირის მიმართ, „ერასმუსის“ პროგრამით გათვალისწინებული პროექტების დაფინანსება საქართველოსთვის მართლაც შეიძლება შეწყდეს, რაც ძალიან მძიმე დარტყმა იქნება საქართველოს განათლების სისტემისთვის“**, – განაცხადა **ვახტანგ ხმალაძემ.**

**ნიკო ჩოხელი**

# SOS! გამოვგლიჯოთ ბავშვები კრიმინალურ სამყაროს!

## სპეციალური კანონი 14 წლამდე მოზარდებზე – როგორ შეეცდება სახელმწიფო არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას



**გოლო პერიოდში ქართულ მედიაში და საზოგადოებაშიც ღიად საუბრობენ იმის შესახებ, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების, განსაკუთრებით კი 14 წლამდე მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულების ფაქტები გახშირებულია. არსებული კანონმდებლობის პირობებში, რომელიც 14 წლამდე ასაკის პირებზე სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ აწესებს, სამართალდამცავი უწყებები ხშირად უძლურნი არიან ეფექტური რეაგირება მოახდინონ განმეორებად დანაშაულებზე, რამაც საზოგადოებასა და ბიზნეს-სექტორში სერიოზული შეშფოთება გამოიწვია.**

სწორედ ამ გამოწვევების ფონზე გახდა აქტუალური „ქართული ოცნების“ ინიციატივა, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი 14 წლამდე პირების მიმართ სპეციალური კანონის მიღებასა და არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის ცენტრის შექმნას გულისხმობს.

for.ge-სთან საუბარში, მაღაზიებისა და სხვა ობიექტების მეპატრონეები ხშირად აცხადებენ, რომ არასრულწლოვნების მხრიდან ჩადენილი დანაშაულები, ძირითადად, ქონებრივ დანაშაულებს მოიცავს. მაღაზიებისა და სურსათის ობიექტების ძარცვა/ქურდობა: ეს ყველაზე ხშირი ფაქტებია, რაზეც მოქალაქეები საუბრობენ. მოზარდები იპარავენ ტელეფონებს, ტანსაცმელს, სურსათს და სხვა მცირე ნივთებს. ხშირად ერთი და იგივე ობიექტი რამდენჯერმე ხდება ქურდობის მსხვერპლი.

### ახალი კანონპროექტი – გერმანული მოდელი და რეაბილიტაცია

**ინიციატორების, მათ შორის, რატი იონათამიშვილისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე არჩილ გორდულაძის განცხადებით, ეს არის გერმანული მოდელის ანალოგი და მიზნად ისახავს არა დასჯას, არამედ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულებას – მზრუნველობისა და მხარდაჭერის კომპონენტის გაძლიერებას.**

ახალი პროექტი ითვალისწინებს: რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის ცენტრის შექმნას იუსტიციის სამინისტროს სისტემაში.

მულტიდისციპლინური ჯგუფის ჩართულობას, რომელიც მოზარდის ინდივიდუალურ საჭიროებებს შეაფასებს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოზარდის არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში გადამისამართებას. მოზარდის სახლში ყოფნის მაქსიმალურ ვადას, რომელიც 6 თვემდე ვადით განისაზღვრება (შესაძლოა, გაგრძელდეს). ამ პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება განათლება და ზრუნვითი პროგრამები. მთავარი მიზანია მოზარდის კრიმინალური გავლენის მქონე სოციუმისგან განცალკევება და მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

### საზოგადოების მოლოდინი – გამკაცრება, როგორც აუცილებლობა

**ძარცვით შეწუხებული მოქალაქეები და მეწარმეები მიესალმებიან კანონმდებლობის გამკაცრებას, რადგან არსებული არაეფექტური მექანიზმი მათთვის პირდაპირი ზიანის მომტანია.**

მაღაზიების მეპატრონეები, რომლებიც კამერებით იდენტიფიცირებულ არასრულწლოვნებს ვერ აკავებენ, იმედოვნებენ, რომ ახალი ცვლილებები ქმედებაზე რეაგირების ეფექტიან მექანიზმს შექმნის. **ბავშვების კრიმინალური სამყაროს გავლენისგან დაცვა** – ესაა მთავარი მოლოდინი საზოგადოებაში.

ადგილობრივები საუბარში აღნიშნავენ, რომ არასრულწლოვნები „პროფესიონალურად“ ახერხებენ ავტომობილების გაძარცვას. ასევე, დასტურდება ვანდალიზმის ფაქტები და ქალაქის ინვენტარის განზრახ დაზიანება.

განსაკუთრებით აღინიშნება ჯგუფური დანაშაულების სერიები, რომლებიც დიდ ქალაქებში – თბილისში, ქუთაისში, გორსა და ოზურგეთში ფიქსირდება. მაღაზიის მეპატრონეები ღიად ეჭვობენ, რომ არასრულწლოვანთა ბანდების უკან სრულწლოვანი, კრიმინალური პირები დგანან, რომლებიც მოზარდებს დანაშაულის ჩასადენად იყენებენ და ამით „ხელს ითბობენ“, რადგან იციან, რომ 14 წლამდე ბავშვებს დაკავება არ ემუქრებათ!!!

### მაღაზიის მეპატრონე ნინო (თბილისი, სურსათის მაღაზია):

**„ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა ბოლო ორი თვის განმავლობაში. ღამით შემოაღწიეს, დაახლოებით, სამი ბიჭი იყო, კამერებზე კარგად ჩანს მათი სახეები, მაგრამ ძალიან პატარები არიან, ალბათ, 12-13 წლისები. ძირითადად, სიგარეტები წაიღეს, ასევე ძვირადღირებული ტკბილეული და ცოტა ნაღდი ფული, რაც სალაროში იყო დარჩენილი.**

**პოლიციას რომ გამოვუძახეთ, გვითხრეს, რომ იდენტიფიკაცია მოხდა, მაგრამ რადგან 14 წლამდე არიან, ვერც დააკავებენ და ვერც პასუხისგებაში მისცემენ. ეს ხომ აბსურდია! ბავშვები ამას გრძნობენ და ყოველ ჯერზე, უფრო თავხედურად იქცევიან. როგორც ჩანს, ვიღაც სრულწლოვანი დგას მათ უკან, ვინც აგზავნის და ეუბნება: „წადით, გააკეთეთ, არაფერი მოგივათ“. ეს პირდაპირ დანაშაულში ჩაბმაა!“**, – ამბობს მაღაზიის მეპატრონე.

### ტექნიკის მაღაზიის მენეჯერი გიორგი (ქუთაისი):

**„ჩვენთან, ძირითადად, მობილური ტელეფონები და სხვა მცირე ელექტრონიკა მოიპარეს. ეს ბავშვები პროფესიონალებივით მუშაობენ, ორგანიზებულები არიან. შემოცვივდებიან, აიტაცებენ და გაიქცევიან. ზიანი საკმაოდ დიდია. პოლიციამ გვითხრა, რომ არაფერი შეუძლიათ. სანამ ეს კანონი არ შეიცვლება, ჩვენ დაუცველები ვართ.**

**ეს ბავშვები დღეს თუ ტელეფონს იპარავენ, ხვალ უფრო მძიმე დანაშაულს ჩაიდენენ, რადგან ხედავენ, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, ეს ახალი კანონი სწრაფად მიიღონ, რათა ამ ბავშვებს მაინც ჰქონდეთ იმის შიში, რომ რეაბილიტაციის ცენტრში მოხვდებიან და კრიმინალური გზიდან გადაუხვევენ. ეს ჩვენი ბიზნესის გადარჩენის საკითხია“**, – აცხადებს მაღაზიის მეპატრონე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ეპოქის შემქმნელი

საქართველოს რესპუბლიკა

**XX საუკუნის დასაწყისი ქართული კულტურისა და მეცნიერების არნახული აღმავლობის ხანაა. თანამედროვე ქართული მეცნიერება სწორედ ამ პერიოდში იწყებს სწრაფ და უაღრესად ეფექტურ განვითარებას თითქმის ყველა დარგში, რაც თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნებით დადასტურდა.**

**ყოველივე ამის სათავეში დიდი ქართველი მეცნიერები იდგნენ, რომლებიც უტყუარი ალღოთი გრძნობდნენ ეპოქის სულისკვეთებას და ზუსტად პასუხობდნენ მის მოთხოვნებს. შეიძლება ითქვას, რომ მათ თვით შექმნეს ეს ეპოქა – თავისი შემოქმედებით, დაუღალავი შრომით, ენთუზიაზმით, ბრწყინვალე მიღწევებით და ჭეშმარიტი პატრიოტიზმით სავსე ეპოქა.**

**გიორგი ჩუბინაშვილი (1885-1973), ქართული ხელოვნებათმცოდნეობის დამფუძნებელ, მეცნიერთა სახელოვანი ოჯახის შთამომავალმა, რომელმაც ევროპაში მიიღო განათლება და სამეცნიერო მოღვაწეობაც იქვე დაიწყო, როცა საქართველოს დასჭირდა, უნივერსიტეტის მესაძირკვლეთა რიგში ჩადგა და ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევის ურთულეს საქმეს წარუძღვა.**

**მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, გიორგი ჩუბინაშვილმა მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ხელოვნების ისტორიის მეცნიერულ კვლევას, ევროპული მეცნიერების საუკეთესო მიღწევების საფუძველზე შესაბამისი მეთოდიც შეიმუშავა, რომელიც იმდენად უნივერსალური და მოქნილი აღმოჩნდა, რომ დღესაც ქმედითი და აქტუალურია.**

გიორგი ჩუბინაშვილი დაიბადა 1885 წლის 21 ნოემბერს პეტერბურგში; გარდაიცვალა 1973 წლის 14 იანვარს, თბილისში. 1907-1913 წლებში სწავლობდა ლაიპციგისა და ჰალეს უნივერსიტეტებში: ფილოსოფია, ხალხთა ფსიქოლოგია; ხელოვნების ისტორია. 1913 წელს ჰალეს უნივერსიტეტმა გ. ჩუბინაშვილს ფილოსოფიის დოქტორისა და თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრის წოდება მიანიჭა; 1913 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის ქართულ-სომხურ-სპარსული განყოფილების თავისუფალი მსმენელი იყო; 1915-16 წ. წ. მონაწილეობდა ნიკო მარის მიერ მოწყობილ ანისის გათხრების ექსპედიციებში; 1917 წელს იგი საბოლოოდ დამკვიდრდა საქართველოში; 1917 წელს კავკასიის საისტორიო-არქეოლოგიური ინსტიტუტის (კიაი) წევრი გახდა; 1918 წ. – ახლად დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, ხელოვნების ისტორიის კათედრის გამგე და მასთან შექმნილი „ხელოვნების მეცნიერების კაბინეტისა“ და „ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის“ (1923) გამგე იყო. 1922 წლიდან 1928 წლამდე სამხატვრო აკადემიის რექტორი იყო; 1930 წელს მისი და შალვა ნუცუბიძის ძალისხმევით მოეწყო ქართული ხელოვნების მოძრავი გამოფენების ციკლი ბერლინსა და გერმანიის სხვა ქალაქებში, სადაც იგი კითხულობდა ლექციებს საქართველოს არქიტექტურისა და ხელოვნების შესახებ; 1930-იან წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების გამგედ და დირექტორის მოადგილე. ხელოვნების მუზეუმის „მეტეხის“ ხუროთმოძღვრების განყოფილების გამგედ; 1941 წელს გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი; 1941 წელს იგი სათავეში ჩაუდგა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს, რომლის დირექტორი იყო სიცოცხლის ბოლომდე.

გიორგი ჩუბინაშვილი გარდაიცვალა 1973 წლის 14 იანვარს, თბილისში. დაკრძალულია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში, უნივერსიტეტის დამფუძნებელთა საპატიო რიგში.

**ჯერ კიდევ საქართველოში საბოლოოდ დამკვიდრებამდე და მითუმეტეს მერე, გიორგი ჩუბინაშვილი საფუძვლიანად გაეცნო ქართულ სიძველეთმცოდნეობის მდიდარ მასალას, საკუთრივ ნაწარმოებებს და თავისი გასაოცარი ნიჭით მონიშნა კიდეც კვლევის მიმართულებები და ძირითადი საკვანძო ძეგლები. ბუნებრივად, არქიტექტურაზე გაამახვილა ყურადღება და ფაქტობრივად სახელოვნებათმცოდნეო თვალსაზრისით სრულიად მწირ საფუძველზე ააგო შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების დიდებული სურათი.**

ძნელად წარმოსადგენია, რომ ერთი ადამიანი მოერეოდა ამ ზღვა მასალას, დაძრავდა ამ ურთულეს საქმეს და წარმატებითაც წარმართავდა. გასაოცარია მისი, როგორც მეცნიერის, კვლევის პროცესის სრულყოფილება, სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების მკაფიო და ზუსტი გამოკვეთა და დიფერენციაცია, შეფასების ნათელი კრიტერიუმები და, ამავდროულად, ხელოვნების ნაწარმოების აღქმა, როგორც სულიერი შემოქმედების განუმეორებელი და ერთადერთი ქმნილებისა.



# მისი სამეცნიერო ნაღვაწით დღესაც ამაყობს ქართველი ერი

## გიორგი ჩუბინაშვილი – 140

გარდა არაჩვეულებრივი ორგანიზებულობისა და შრომისუნარიანობისა, დიდი ერუდიციისა და ღრმა ცოდნის მქონე გიორგი ჩუბინაშვილის დიდი უპირატესობა მისი ღვთით ნაბოძები ნიჭი იყო, მხატვრული ინტუიცია და უტყუარი ალღო, რომელმაც საშუალება მისცა მას ეს ზღვა მასალა არა თუ მხოლოდ დაეგროვებინა, არამედ მისი კლასიფიკაციაც მოეხდინა, ფართო ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში ჩაესვა, და რაც მთავარია, თვით ამ ნაწარმოებების „ამეტყველება“ შეეფასებინა. ამის ერთი შთამბეჭდავი მაგალითია ყოველგვარი წერილობითი თუ სხვა სახის დოკუმენტაციის არარსებობის პირობებში მის მიერ გურჯაანის ყველაწმინდის ორგუმბათიანი ტაძრის დათარიღება მე-8 საუკუნით, რაც შემდგომში ტექნიკური კვლევის შედეგებმა დაადასტურა

გ. ჩუბინაშვილის კვლევის ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ეროვნული ფორმათგანცდის და ფორმათქმნადობის საკითხი იყო, ეროვნული ერთიანობის პრობლემა, რომელიც უფრო ფართო ხედვას მოითხოვს, ვიდრე მხატვრული სტილის ისტორია, იკონოლოგია, იკონოგრაფია, სიმბოლიზმი და ბევრი სხვა რამ. აქ შემოქმედების ინდივიდუალური ასპექტები სხვა მიდგომას ითხოვს.

**მან თავიდანვე დაისახა მიზნად გამოეკვეთა ძველი ქართული ხელოვნების თვითმყოფადობა, განუმეორებლობა, დამოუკიდებელი შემოქმედობითობა. მთელი ერის ხელოვნების ისტორიის უმთავრესი ფაქტები შეაგროვა, გააანალიზა, მხატვრულ ისტორიულ პროცესად წარმოადგინა, ეროვნული თავისებურებებიც ნათლად გამოავლინა და ამავე დროს მსოფლიო ხელოვნებასთან მისი წილნაყარობის ხარისხი და დონე წარმოაჩინა.**

**გიორგი ჩუბინაშვილმა გამოააშკარავა ისეთი ნიშან-თვისებები, რომელიც ქართულ ხელოვნებას ოდითგანვე მოდგამს. ასე მაგალითად, მან ერთ-ერთ მთავარ ეროვნულ ნიშნად დაადგინა მკაფიოდ გამოხატული მისწრაფება ერთიანად, სიმულტანურად აღქმადი სივრცისადმი.**

**გიორგი ჩუბინაშვილმა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში რამდენიმე სტილური ეტაპი გამოყო, მაგრამ ევოლუციონიზმის „პროკრუსტეს სარეცელზე“ არ მიაჯაჭვა. არც სხვა რამ მეთოდურ არტახებში გოჭავდა და „თავისუფლებას“ ანიჭებდა.**

მისი ეს მიზანდასახულობა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ სამწუხარო შემთხვევითი გარემოებების გამო ქართულ ხელოვნებას ევროპულ მეცნიერებაში ბიზანტიურის და ზოგჯერ სომხურის ეპიგონურ მიმდევარ-მიმბაძველად განიხილავდნენ. სწორედ გიორგი ჩუბინაშვილის და მისი თანამშრომელთა და მოწაფეების მოღვაწეობამ გააბათილა ეს მცდარი შეხედულებები და ქართულ ხელოვნებას სათანადო ადგილი მიუჩინა ევროპულ მეცნიერებაში.

ხელოვნების ნაწარმოებს გიორგი ჩუბინაშვილი ყოველთვის მრავალი მხრიდან აღიქვამდა, მის მრავალ ასპექტს გამოკვეთდა და იკვლევდა მისი ისტორიული წარმომავლობის გათვალისწინებით.

**ჩუბინაშვილი, ერთი მხრივ, საზოგადოსა და საზიაროსაც ხედავდა და განიხილავდა, მეორე მხრივ კი ყოველი ნაწარმოებისადმი განუმეორებელი, ინდივიდუალურ მიდგომას ცდილობდა და, საჭიროებისამებრ, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით წვდებოდა მის არსს.**

**იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მაღალი ხელოვნება ადამიანზე ეთიკურადაც ძლიერ მოქმედებს. ამიტომ იზიდავდა მას ფორმით სრული და აზროვნულად დატვირთული ნაწარმოებები.**

გ. ჩუბინაშვილის მეთოდი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ხელოვნების ყოველი ნაწარმოები, დიდი ტაძარი იქნებოდა თუ მცირე ზომის ჭედური ხატი, მრავალმხრივ, მრავალასპექტიან კვლევას იმსახურებდა, ფართო ისტორიულ კონტექსტში, იმ დროის კულტურის განვითარების თავისებურებათა კონტექსტში, ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით...

ჩუბინაშვილის მეთოდის ერთი მთავარი მახასიათებელია, რომ იგი არასდროს „ძალადობს“ ნაწარმოებზე, არამედ მას „ალაპარაკებს“, მას უგდებს ყურს.

ჩუბინაშვილის კონცეფციაში, ერთი შეხედვით „სტილის ისტორიის“ ყაიდაზე რომ ჩანს გამართული, მის ნიშნებს ეთავსება „ფორმათა ისტორიაც“, „გონის ისტორიაც“ და სოციოლოგიაც, ფსიქოლოგიაც, თანაც ისინი უწესრიგოდ კი არ ლაგდება ერთმანეთის გვერდით, არამედ ისტორიული მსვლელობის ერთიანობად ყალიბდება, რომელშიც ყოველ მათგანს საკუთარი, განსაზღვრული ადგილი აქვს მიჩენილი. საერთო ამოსავალი კი არის წარმოდგენა შემოქმედ პიროვნებაზე, რომელიც გარკვეული სახვითი და გამომსახველობითი შესაძლებლობების მომარჯვებით ქმნის თავის დროის შესაფერის ხელოვნებას. იგი ფორმათმოქმედიც არის, სულიერი მოძრაობის მონაწილეც საზოგადოების წევრიცა და განუმეორებელი ბიოგრაფიის პატრონიც.

ჩუბინაშვილის და მისი თანამშრომლების და მოწაფეების მიერ ჩამოყალიბებული მოდელი ხელოვნების ისტორიისა შეიძლება განისაზღვროს, როგორც „დინამიკური ხელოვნების ისტორია“ – მეთოდთა რთული „ერთობა“ და ურთიერთქმედება, რაც, გარდა ყველასგან მიღებული ძირითადი ქრონოლოგიური ქარგის თუ ტერმინის თუ ფორმის ანალიტური ოსტატობისა, მიდგომათა დიდ მრავალფეროვნებას ავლენს.

**ბატონი გიორგი ჩუბინაშვილი საგანგებო ყურადღებას იჩენდა ძველი ხუროთმოძღვრების კონსერვაცია-რესტავრაციის სფეროსადმი. საქართველოში სწორედ გიორგი ჩუბინაშვილმა მიანიჭა რესტავრაციას სამეცნიერო დარგის ღირსება და საფუძველი.**

**1948 წელს მისი თაოსნობით შეიქმნა სამეცნიერო მეთოდური საბჭო, რომელზეც განიხილებოდა ყველა საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროექტი და რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ არქიტექტორებიც, ხელოვნებათმცოდნეებიც, რესტავრატორებიც. საბჭოს სწორედ გ. ჩუბინაშვილი ხელმძღვანელობდა და სწორედ მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებულ კონსერვაცია-რესტავრაციას ქადაგებდა.**

გიორგი ჩუბინაშვილი ჭეშმარიტად თავისუფალი ადამიანის იშვიათი ნიმუში იყო. თანაც როგორ გარემოში უხდებოდა ცხოვრება და მუშაობა – საბჭოთა კავშირში, სტალინური მმართველობის დროს, იგიც და მისი სახელოვანი კოლეგებიც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა ქართული მეცნიერების სხვადასხვა დარგები განევითარებინათ, რაც იმ დროს არცთუ იოლი საქმე იყო.

ის ძალიან პრინციპული იყო, უკან არასდროს იხევდა. ამ მხრივ უამრავ სხვა ამბებთან ერთად, მისი პიროვნების დახასიათებისთვის ძალიან ნიშანდობლივია 1952 წელს ჩატარებული „სასამართლო“, სადაც დასავლური კულტურისა და მეცნიერების მიმართ მისი მიკუთვნება „გაასამართლეს“. მან არ მოიხადა ბოდიში, არ აღიარა თავისი შეცდომები და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამ სასამართლოზე ნათლად გამოჩნდა მის მიერ დაფუძნებული ინსტიტუტის და მის მიერ შერჩეული თანამშრომლების ღირსება, უპირობო ერთგულება და სიყვარული – ერთი ადამიანიც კი ვერ ნახეს, რომელიც დათანხმდებოდა ბატონი გიორგის „მხილებას“. იმ დროს ეს საკმაოდ იშვიათი რამ იყო და ძალიან საშიშიც. როგორც ჩანს, იგი იმსახურებდა ამას.

**აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის და მისი თანამშრომლების რამდენიმე თაობის თავდადებული შრომით ქართული ხელოვნებათმცოდნეობა ჭეშმარიტად ევროპული მეცნიერების დონეზე იქნა აყვანილი, დადგინდა ქართული ხელოვნების ისტორიული გზა, გამოირკვა მისი ადგილი მსოფლიო კულტურაში (რაშიც, გარდა სამეცნიერო ნაშრომებისა უდიდესი როლი ითამაშა ინსტიტუტის მიერ მოწყობილმა მრავალრიცხოვანმა საერთაშორისო სიმპოზიუმებმა საზღვარგარეთ და საქართველოში), წარმოჩნდა მისი ღირსება-ღირებულება, რითაც ესოდენ ამაყობს ქართველი ერი.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ადმინისტრაციული სამართალი, როგორც საჯარო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგი, ემყარება იმ პრინციპს, რომ სახელმწიფო მმართველობა მიზნად ისახავს საზოგადოების საერთო კეთილდღეობის უზრუნველყოფას. სწორედ ამ იდეის იურიდიული გამოხატულებაა საჯარო ინტერესის პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მოქმედების ლეგიტიმურ საზღვრებსა და მიმართულებას. ადმინისტრაციული სამართლის დოქტრინაში საჯარო ინტერესის პრინციპი წარმოადგენს ერთ-ერთ ცენტრალურ საფუძველს, რომელიც ამართლებს ადმინისტრაციული ორგანოს ჩარევას ინდივიდის უფლებებსა და თავისუფლებებში (Craig, 2012, გვ. 87).**

**საჯარო ინტერესის პრინციპები აერთიანებს სახელმწიფოსა და მოქალაქის ინტერესთა ბალანსის მექანიზმს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში. საქართველოში, ისევე როგორც ევროპულ ადმინისტრაციულ სისტემებში, საჯარო ინტერესის პრინციპები წარმოადგენს არა მხოლოდ სამართლებრივ კატეგორიას, არამედ ღირებულებით საფუძველსაც, რომელიც გამორიცხავს ადმინისტრაციული ძალაუფლების თვითნებურ გამოყენებას.**

**სტატიის მიზანია, გამოიკვლიოს საჯარო ინტერესის პრინციპის შინაარსი, ფუნქცია და სამართლებრივი მნიშვნელობა ადმინისტრაციულ სამართალში — როგორც საქართველოს, ისე ევროპული სამართლის კონტექსტში, აგრეთვე წარმოაჩინოს ამ პრინციპის როლი ადმინისტრაციული სამართლის მოდერნიზაციაში და მოქალაქეთა უფლებების დაცვის მექანიზმებში.**



# საჯარო მმართველობის კულტურის საფუძველი

## საჯარო ინტერესის პრინციპები ადმინისტრაციულ სამართალში

### კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

**კვლევის მიზანია საჯარო ინტერესის პრინციპის ანალიზი როგორც დოგმატიკურ, ასევე შედარებით-სამართლებრივ ჭრილში. ამ მიზნით გამოყენებულია დოგმატიკური, შედარებითი და ნორმატიული მეთოდები.**

დოგმატიკური მიდგომა ემყარება საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, შედარებითი მეთოდი კი მიზნად ისახავს ევროპის ადმინისტრაციულ სამართალში ჩამოყალიბებული პრინციპების შესწავლას. ნორმატიული მიდგომა, თავის მხრივ, ამ პრინციპის ღირებულებით შინაარსს უკავშირდება — კერძოდ, იმას, თუ როგორ ხდება საჯარო ინტერესის განმარტება და გამოყენება კონკრეტულ სამართლებრივ რეალობაში.

### საჯარო ინტერესის პრინციპის თეორიულ-დოგმატიკური საფუძველი

**საჯარო ინტერესის პრინციპის საფუძველი მდგომარეობს სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობის არსში. სახელმწიფო მოქმედებს არა საკუთარი, არამედ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. როგორც მიუთითებს გერმანელი იურისტი იურგენ შვარცი (Schwarze, 2006, გვ. 45), საჯარო ინტერესის პრინციპი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის „ღერძულ ღირებულებას", რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს ქცევის ლეგიტიმურობას.**

დოქტრინაში საჯარო ინტერესის განსაზღვრა ყოველთვის რთულ საკითხად რჩებოდა, რადგან იგი არ არის ერთმნიშვნელოვნად ფორმალიზებადი. ზოგადად, საჯარო ინტერესი გულისხმობს ისეთ ინტერესს, რომელიც სცდება ინდივიდუალურ სარგებელს და მიზნად ისახავს საზოგადოების ფართო ნაწილის კეთილდღეობას. ინგლისურ სამართალში ეს პრინციპი დაკავშირებულია „public good"-ის ან „პუბლიც წელფარე"-ის ცნებებთან, ხოლო კონტინენტურ ევროპაში – სახელმწიფოს სოციალური მიზნების რეალიზაციასთან (Harlow, 2003, გვ. 102).

ამ კონტექსტში საჯარო ინტერესის პრინციპი წარმოადგენს სამართლებრივ და მორალურ საზომს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, რამდენად შეესაბამება ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება საზოგადოების საერთო მიზნებს. მისი არსი უკავშირდება პროპორციულობის პრინციპსაც – კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა იყოს საჭირო, მიზანშეწონილი და პროპორციული იმ საჯარო მიზნის მისაღწევად, რომლისთვისაც იგი ხორციელდება (Craig, 2012, გვ. 153).

### საჯარო ინტერესის პრინციპი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალში

**საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საჯარო ინტერესის პრინციპი მკაფიოდ არის დადგენილი საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, რომლის მე-2 მუხლის „გ" ქვეპუნქტი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ ორგანოს მოქმედების მიზნად „საჯარო ინტერესის უზრუნველყოფას". კოდექსის 5-ე მუხლი ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს იმოქმედოს კანონიერად, სამართლიანად და მიზანმიმართულად, რაც სწორედ საჯარო ინტერესის პრინციპის განხორციელებას უკავშირდება.**

საჯარო ინტერესის დაცვის ვალდებულება თანხვედრაშია საქართველოს კონსტიტუციასთანაც. კონსტიტუციის 29-ე მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს საკუთრების შეზღუდვა მხოლოდ „საჭარო საჭიროების შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით და სათანადო ანაზღაურების პირობით". აქედან გამომდინარეობს, რომ ინდივიდუალური უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელია საზოგადოებრივი კეთილდღეობის მისაღწევად.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში საჯარო ინტერესის პრინციპი ხშირად გამოიყენება ადმინისტრაციული აქტების ლეგიტიმაციისას. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში N1/3/421 (2010) ხაზგასმულია, რომ საჯარო ინტერესის განხორციელება ვერ ამართლებს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ისეთ შეზღუდვას, რომელიც არღვევს პროპორციულობისა და სამართლიანობის მოთხოვნებს. ამგვარად, საჯარო ინტერესი უნდა განიხილებოდეს ბალანსის პრინციპთან ერთად, რათა არ იქცეს ინდივიდის უფლებების შეზღუდვის იარაღად.

საჯარო ინტერესის პრინციპი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადმინისტრაციული დისკრეციის განხორციელებაში. ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული დისკრეცია არ ნიშნავს თავისუფლებას თვითნებურად იმოქმედოს — იგი უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ ფარგლებში, როცა ამას მოითხოვს საზოგადოების საერთო სარგებელი **(გაგნიძე, 2018, გვ. 212).**

### საჯარო ინტერესის პრინციპი ევროპულ ადმინისტრაციულ სამართალში

**ევროპის ადმინისტრაციულ სამართალში საჯარო ინტერესის პრინციპი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს ქცევის ეთიკურ და სამართლებრივ ჩარჩოს. ევროკავშირის დონეზე იგი განსაზღვრულია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 298-ე მუხლით, რომელიც ავალდებულებს კავშირსა და მის ინსტიტუტებს იმოქმედონ „გახსნილობის, კეთილსინდისიერებისა და მოქალაქეთა მომსახურების პრინციპების შესაბამისად".**

გარდა ამისა, ევროპული ადმინისტრირების ქცევის კოდექსი (European Code of Good Administrative Behaviour, 2001) მკაფიოდ აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ყველა გადაწყვეტილება უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ საჯარო ინტერესს და არა პირად ან ინსტიტუციურ მიზნებს. ამ კოდექსის 3-ე მუხლი ამბობს: „მოსამსახურემ თავისი უფლებამოსილება უნდა გამოიყენოს მხოლოდ იმ მიზნით, რისთვისაც იგი მინიჭებულია, საზოგადოების ინტერესების შესაბამისად."

ევროპული სასამართლო პრაქტიკაც ხაზს უსვამს საჯარო ინტერესის მნიშვნელობას. მაგალითად, საქმეში „Commission v. Germany" (C-5/94), ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული ადმინისტრაციული ზომები უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ლეგიტიმურ საჯარო მიზანს და არ უნდა აღემატებოდეს საჭირო ზომებს მიზნის მისაღწევად (Schwarze, 2006, გვ. 213).

ევროკავშირის ადმინისტრაციულ სამართალში საჯარო ინტერესი ხშირად უკავშირდება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა გარემოს დაცვა, საჯარო უსაფრთხოება, კონკურენციის დაცვა და ბაზრის გამჭვირვალობა. ამგვარად, საჯარო ინტერესის პრინციპი იქცევა ინსტრუმენტად, რომელიც არამხოლოდ ზღუდავს ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედებას, არამედ ამავდროულად განსაზღვრავს მისი ქცევის მიზნობრიობასაც.

### შედარებითი ანალიზი

**საქართველოსა და ევროკავშირის ადმინისტრაციულ სამართალში საჯარო ინტერესის პრინციპი არსებითად ერთსა და იმავე ღირებულებით ფუნდამენტზე დგას – ხელისუფლების ქმედება ლეგიტიმურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობას. თუმცა, ევროპულ სამართალში ეს პრინციპი უფრო ინსტიტუციონალიზებულია: იგი არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ეთიკური სტანდარტის სახითაც ფუნქციონირებს** (Craig, 2012, გვ. 159).

ევროკავშირის სამართალი ხაზს უსვამს საჯარო ინტერესის პირდაპირ ანგარიშვალდებულებას მოქალაქის წინაშე, მაშინ როცა საქართველოში ხშირად ის სახელმწიფოს შიდა პასუხისმგებლობად განიხილება. ევროპული მიდგომა უფრო მეტად მოქალაქეზეა ორიენტირებული – საჯარო ინტერესი იქ არ არის სახელმწიფოს მიზანი თავისთავად, არამედ საშუალება მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ამასთანავე, ევროპულ სამართალში საჯარო ინტერესის განხორციელება დაკავშირებულია „კეთილი" ადმინისტრირების პრინციპთან, რაც გულისხმობს გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და მოქალაქეთა თანაბარ მოპყრობას. ქართულ სამართალში კი ეს პრინციპი ჯერ კიდევ ვითარდება და ძირითადად ნორმატიულ დონეზე რჩება, ვიდრე პრაქტიკულ ცხოვრებაში.

მაგალითად:

### ჰიჯაბის ტარების შეზღუდვა ევროპაში




ევროპის ქვეყნებში (მაგალითად საფრანგეთი, ბელგია, დანია) სკოლებში ან საჯარო სივრცეებში ჰიჯაბის ტარება შეზღუდულია, რაც იურიდიულად და სამართლებრივად განმარტებულია როგორც:

- **საჯარო სივრცის სეკულარიზაცია – სახელმწიფო ინტერესები სკოლასა თუ ადმინისტრაციულ დაწესებულებაში სეკულარიზაციის დაცვას ითვალისწინებს;**
- **ერთობლივი სოციალური თანხმობა – მიზანი არის საზოგადოებრივი მშვიდობისა და თანასწორობის უზრუნველყოფა;**
- **ბალანსი ინდივიდუალური თავისუფლებებისა და საერთო წესრიგის დაცვას შორის.**

ევროპის სასამართლო პრაქტიკამ (მაგ., S.A.S. v. France, 2014) აღნიშნა, რომ ჰიჯაბის შეზღუდვა ლეგიტიმურ საჯარო მიზანს ემსახურება, თუმცა შეზღუდვის ზომა უნდა იყოს პროპორციული და განსაზღვრული.

# ჟურნალისტის თვალსაწიერი



## პირბადის ტარების შეზღუდვა საქართველოში

**საქართველოში პირბადის ტარების გარკვეული აკრძალვები ზოგიერთ საჯარო დაწესებულებაში წარმოიშვა კორონავირუსის პანდემიის შემდეგ (მაგ., სასამართლოებში, ზოგიერთი საჯარო დაწესებულება), რაც მიზნად ისახავდა:**

- **საჯარო უსაფრთხოების უზრუნველყოფას – სამოქალაქო უსაფრთხოება, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტურობა;**
- **იდენტიფიკაციის უზრუნველყოფას – საჯარო დაწესებულებებში პირის სწორად ამოცნობა აუცილებელია ადმინისტრაციული პროცედურებისათვის;**
- **პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპების დაცვას – შეზღუდვა გამოიყენება მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში, დროებით და მიზანმიმართულად.**

საქართველოს სამართლებრივი და სასამართლო პრაქტიკა ხაზს უსვამს, რომ ნებისმიერი შეზღუდვა ინდივიდუალური უფლებისა უნდა იყოს ზუსტად განსაზღვრული, აუცილებელი და პროპორციული.

როგორც ევროპაში ჰიჯაბის და საქართველოში პირბადის ტარებაზე შეზღუდვა ემსახურება საჯარო ინტერესის პრინციპს ადმინისტრაციულ სამართალში, თუმცა სხვადასხვა კონტექსტში:

- **ევროპაში – სეკულარიზაცია, კულტურული და სოციალური წესრიგი;**
- **საქართველოში – უსაფრთხოება, ადმინისტრაციული ეფექტურობა.**

ორივე შემთხვევაში მთავარია პროპორციულობა, საჭიროება და აუცილებლობა – ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება დასაშვებია მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც პასუხობს საზოგადოების საერთო კეთილდღეობას.

## დასკვნა

**საჯარო ინტერესის პრინციპი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ ცენტრალურ საფუძველს, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობის საზღვრებს. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს არა საკუთარი ან ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისთვის, არამედ საზოგადოების საერთო კეთილდღეობისთვის.**

**საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალში ეს პრინციპი უკვე მყარად არის დამკვიდრებული როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო დონეზე, თუმცა მის სრულფასოვან განხორციელებას სჭირდება გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ადმინისტრაციული ანგარიშვალდებულების გაძლიერება.**

**ევროპული გამოცდილება აჩვენებს, რომ საჯარო ინტერესის პრინციპი შეიძლება იქცეს არა მხოლოდ სამართლებრივ საზომად, არამედ საჯარო მმართველობის კულტურის საფუძვლადაც. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ევროპული სტანდარტების გატარება — კერძოდ, ადმინისტრირების, პროპორციულობისა და მოქალაქეზე ორიენტირებული მმართველობის პრინციპების გაძლიერება.**

**საჯარო ინტერესის პრინციპის ეფექტიანი განხორციელება უზრუნველყოფს სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებას, სადაც ხელისუფლება არა მხოლოდ მართავს, არამედ ემსახურება საზოგადოებას.**



**კობა ბუჩუკური,**
იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

# გვალვით, უწყლობით დაზაფრული ირანი

**ირანში წყლის მწვავე კრიზისია და მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. ირანის პრეზიდენტის მასუდ ფეზეშქიანის თქმით, თუ უახლოეს ხანში წვიმა არ წამოვა, თეირანში წყლის მიწოდების შეზღუდვა გახდება საჭირო, თუმცა, მისი აზრით, ესეც არ იქნება საკმარისი. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად, პრეზიდენტი დედაქალაქის მოსახლეობის ევაკუაციას განიხილავს. ქვეყნის მასმედიამ მწვავედ გააკრიტიკა პრეზიდენტის ეს ინიციატივა. თეირანის ყოფილმა მერმა, გოლამ ჰოსეინ კარ ბაშჩიმ იდეას ხუმრობა უწოდა და თქვა, რომ თეირანის ევაკუაცია უაზრობაა. მართლაც, 13-მილიონიანი ქალაქის ევაკუაცია, ფაქტობრივად, შეუძლებელია.**



ექსპერტების აზრით, ფეზეშქიანმა იცის, რომ დედაქალაქის მოსახლეობის ევაკუაცია აბსურდია, მაგრამ პრეზიდენტმა ამით მოსახლეობა, თითქოს, წინასწარ შეამზადა, რომ ხალხი წყლის დეფიციტს შეეგუოს. ირანელებისთვის გაცილებით დიდი თავსატეხი ის არის, რომ წყალმომარაგების პრობლემა არა მხოლოდ თეირანშია. საკითხი მთელს ქვეყანას აწუხებს. მთავრობამ ქალაქების უმრავლესობაში წყლის მიწოდების გრაფიკი შემოიღო და მოსახლეობას წყლის ხელმომჭირნედ გამოყენებისკენ მოუწოდა. მთავრობის ზოგიერთი წევრი ირანის პრეზიდენტს კარნახობს, რომ მან წყლის არარაციონალურად ხარჯვის წინააღმდეგ კანონი შემოიღოს. მოკლედ, ამხელა ქვეყანა, ფაქტობრივად, წყლის გარეშე დარჩა. ხალხში, სიმწარენარევი ხუმრობა გავრცელდა, წყლის ნაცვლად, ნავთი ვიხმაროთ. მოგეხსენებათ, ირანში ნავთობის უდიდესი საბადოებია განლაგებული. ზოგადად, ირანს ყოველთვის აწუხებდა წყლის ნაკლებობა, მაგრამ ისეთი გასაჭირი, როგორიც ახლაა, არასდროს არ ყოფილა. მიზეზი კი ისაა, რომ ყველა პრობლემა ერთად დაგროვდა.

წელს, ირანში უპრეცედენტო გვალვა იყო. რეკორდულად მცირე ნალექის გამო, წყლის რეზერვუარები თითქმის დაცარიელდა. ირანის მსხვილ წყალსაცავებში წყლის დონე მკვეთრად დაეცა, თუმცა, წყლის კრიზისი მხოლოდ ნალექის სიმცირეს არ გამოუწვევია. როგორც თავად ირანის მთავრობა აღიარებს, ქვეყნის წყალმომარაგების მთელი სისტემა მწყობრიდანაა გამოსული: წყალსადენები მოძველებულია და ბევრგან დიდი რაოდენობით ჟონავს წყალი. სპეციალისტები, უკვე, კარგა ხანია, ხელისუფლებას წყალსადენების მოდერნიზაციის აუცილებლობისკან მოუწოდებენ, მაგრამ მთავრობა მათ არ უსმენს.

წყალმომარაგების სფეროში, მთავრობა ყოველთვის არასწორ პოლიტიკას ატარებდა: ქალაქებისთვის წყალსაცავების აგების ნაცვლად, სოფლის მელიორაციაზე გადაიტანეს ყურადღება. ოფიციალური მონაცემებით, წყლის მთლიანი ხარჯის 60-ი პროცენტი სოფლის მეურნეობაზე მოდის, თან, ირანში აქტიურად აწარმოებენ ფისტას, რომლის მოყვანას დიდი რაოდენობით წყალი სჭირდება. რაც შეეხება ქალაქებს, მათი უმრავლესობა მიწისქვეშა წყლებით მარაგდება. ქალაქების განაშენიანება კი, ქაოსურია, რაც მათ წყლით მომარაგებას აფერხებს. ისიცაა, რომ, კლიმატურგეოგრაფიულად, ირანი არ არის უხვწყლიანი ქვეყანა. წყლის ნაკლებობა აქ ყოველთვის დიდი პრობლემაა. ბოლო ათწლეულში მდგომარეობა კიდევ უფრო გამძაფრდა, რაც, სპეციალისტების აზრით, იმან გამოიწვია, რომ მეზობელ თურქეთსა და ავღანეთში წყლის კაშხლების გამალებული მშენებლობაა, რაც საგრძნობლად აფერხებს ირანის წყლით მომარაგებას. იმის მაგივრად, რომ ამ სამმა ქვეყანამ წყლის მომარაგების გეგმები ერთმანეთთან შეათანხმოს, ისინი, ცალ-ცალკე, მხოლოდ თავიანთი მიზნების გათვალისწინებით მოქმედებენ, რაც მათ შორის ურთიერთობის დაძაბვას იწვევს. მაგალითად, 2022 წელს, თეირანსა და ქაბულს შორის ურთიერთობა მდინარე გილ-მენდზე კაშხლის მშენებლობის გამო დაიძაბა. მდინარე ავღანეთიდან ირანში მიედინება. ავღანეთის მთავრობამ კაშხლის გადიდება და მდინარის წყლის კალაპოტის შეცვლა გადაწყვიტა, რაც მდინარეს დაშრობით დაემუქრა. დიდი დავიდარაბის შემდეგ, პრობლემა რაღაცნაირად მოგვარდა. ირანი უკმაყოფილოა თურქეთის გეგმებითაც, რომელიც მდინარე არაქსზე, ევფრატზე და ტიგროსზე, ასევე, კაშხლების აშენებას გეგმავს, ანუ, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ნაცვლად, ირანი, თურქეთი და ავღანეთი, გაუთავებელ წინააღმდეგობაში არიან!..

# რამ შეძრა და გახლიჩა ისრაელი?

**ისრაელში, ქვეყნის სამხედრო პროკურატურის ხელმძღვანელი, გენერალი, ქალბატონი იფატ ტომერ იერუშალიმი დააკავეს. ისრაელის ისტორიაში, მსგავსი არაფერი მომხდარა. მას სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის საჯარო გავრცელება ედება ბრალად. ამ ამბავმა მთელი ისრაელი შეძრა და გახლიჩა. ერთი მხარე სამხედრო პროკურორს იცავს, მეორე ნაწილი კი, თვლის, რომ ის მოღალატეა. რა გააკეთა ქალბატონმა ტომერ იერუშალიმმა ისეთი, რომ მას ღალატში სდებენ ბრალს?**




ეს ამბავი შარშან დაიწყო: ქვეყნის სამხედრო პროკურატურაში საჩივარი შევიდა, რომ სდე ტეიმანის ცნობილ ციხეში, ჰამასის მებრძოლებს აწამებდნენ. სდე ტეიმანის ციხე განლაგებულია ნეგევის უდაბნოში და ყველაზე დაცულ საპატიმროდაა მიჩნეული. აქ სასჯელს ცნობილი ტერორისტები და პალესტინელი მებრძოლები იხდიან. პალესტინელებისგან ხშირად ისმოდა საყვედური, რომ ციხეში პალესტინელებს აწამებდნენ, მაგრამ ფაქტების უქონლობის გამო, ვერაფერს ვერ ამტკიცებდნენ. შარშან ციხის მთავარმა ექიმმა პატიმართა წამებებზე პროკურატურაში სარჩელი შეიტანა. მისი თქმით, ერთ დღეს მას გასასინჯად ორი პალესტინელი პატიმარი მიუყვანეს. ექიმი გასინჯვის შედეგად მიხვდა, რომ ისინი ნაწამები იყვნენ.

ამის შემდეგ, სამხედრო პროკურატურამ ფაქტზე გამოძიება დაიწყო, რომელმაც აჩვენა, რომ 7 ოქტომბრის შემდეგ, ციხეში ხშირად ხდებოდა წამება. გამოძიებამ გაარკვია, რომ ამ ორ პალესტინელზე, ციხის ზედამხედველებმა, წამების გარდა, სექსუალურად იძალადეს. მოგვიანებით, პროკურატურამ მოძალადეების დაჭერის ორდერი გასცა. როცა სამხედრო პოლიცია ციხის თანამშრომლებს აკავებდა, დანარჩენი თანამშრომლები პოლიციისთვის ხელის შეშლას შეეცადნენ, მაგრამ მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. მაშინ არეულობის მონაწილეებმა, სამხედრო პოლიციის შტაბბინაში შეჭრა და დაკავებულების გათავისუფლება სცადეს.

ამ ინციდენტმა სამხედრო პროკურატურა აღაშფოთა. ქალბატონმა იფატ ტომერ იერუშალიმმა კი, მათი დაკავების ორდერები გასცა, რის შემდეგ, ყოველდღე ხდებოდა სამხედრო გენერალურ პროკურორზე ზეწოლა. დაჭერილთა ახლობლები პროკურატურასთან ყოველდღიურ დემონსტრაციებს აწყობდნენ, ულტრაორთოდოქსებმა იფატ ტომერ იერუშალიმი ქვეყნის მოღალატედ შერაცხეს, მაგრამ ქალბატონი პროკურორი მედგრად იდგა. ბოლოს და ბოლოს, მან ზეწოლას ვერ გაუძლო და გასაიდუმლოებული საქმის გასაჯაროება გადაწყვიტა.

მან ისრაელის ერთ-ერთ გამოცემას საიდუმლოდ გადასცა ვიდეომასალა, რომელშიც ციხის ზედამხედველების სადისტური ქცევა ჩანს. ვიდეოს გაჟონვამ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ მთავრობამ მოახერხა, ყურადღება ჯარისკაცების მიერ ჩადენილი სისასტიკიდან თავად გაჟონვის ფაქტზე გადაეტანა. ნეთანიაჰუმ ამ ამბავს ისრაელის სახელმწიფოს მიმართ ყველაზე სასტიკი ანტიპიარული კომპანია უწოდა. მთავრობამ იფატ ტომერ იერუშალიმი დროებით გადააყენა თანამდებობიდან. მოგვიანებით, ქალბატონმა პროკურორმა ვიდეოს გავრცელება აღიარა და ყველაფერი თავის თავზე აიღო. ამჯერად მთავრობამ მისი დაპატიმრების ბრძანება გასცა, მაგრამ ქალბატონი პროკურორი გაუჩინარდა. გამოცხადდა მისი ძებნა. ბოლოს გაირკვა, რომ მან თავის მოკვლა სცადა. ქალბატონი პროკურორი ციხეში გადაიყვანეს, სადაც მან ხელახლა სცადა სუიციდი. ახლა იფატ ტომერ იერუშალიმი ციხის საავადმყოფოში გადის მკურნალობას.

სკანდალმა სრულიად ისრაელი შესძრა და ქვეყანაში დიდ კამათს მისცა ბიძგი, თუმცა, ამ დისკუსიაში ახალი არაფერია. მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ, ის არასოდეს არ შეჩერებულა. საკითხი ასე დგას: საიდუმლო ინფორმაციის მოსაპოვებლად, დემოკრატიულ ქვეყნებს, აქვთ თუ არა მორალური უფლება, მოიქცნენ ისე, როგორც დიქტატორული რეჟიმის ქვეყნები, და პატიმრები აწამონ. ამ კითხვას ხშირად სვამდნენ ამერიკელები, როცა ნაცისტური გერმანიის გენერლებს აპატიმრებდნენ. ეს კითხვა ვიეტნამისა და ერაყის ომების დროსაც ხშირად ისმოდა. ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამ კითხვაზე, არ არსებობს.

დასავლეთის ერთი ნაწილი ამბობს, რომ ტერორისტებს სასტიკად უნდა მოექცე, მეორე ნაწილი თვლის, რომ ამით დემოკრატიის პრინციპები ითელება. ისრაელის მასმედიამ ორი ამბავი გაიხსენა. ერთი ერაყის აბუ გრეიბის ციხეს ეხება, სადაც 2005 წელს ერაყელ მებრძოლებს აწამებდნენ. წამების ფოტოები ერთმა ამერიკელმა ოფიცერმა გასააჯაროვა. მეორე შემთხვევა 1984 წელს მოხდა ისრაელში. ამბავს „300 ნომერი ავტობუსი" დაარქვეს. მაშინ პალესტინელმა ტერორისტებმა ამ მარშრუტის ავტობუსის მგზავრები აიყვანეს მძევლად. გათავისუფლების დროს, ისრაელის სპეცდანიშნულების რაზმმა მიზანმიმართულად გაანადგურა ტერორისტები.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

# ევროპაში ჟამიანობა გრძელდება!

**„ოთხი კოშმარი ვოლოდიმირ ზელენსკისათვის“** – ასეთი სათაური აქვს ფრანგული გაზეთის **„ლე ფიგაროს“ (Le Figaro)** 19 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას (ავტორი – **რენო ჟირარი**, პოლიტიკური მიმომხილველი), **რომელშიც გაანალიზებულია უკრაინის წინაშე მდგარი პრობლემები. პუბლიკაციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის მქონე საკითხებს (უკრაინის არმიის მძიმე მდგომარეობა, რუსეთის სამხედრო გეგმები, ანტირუსული სანქციების სავარაუდო გაზრდა...), ისე ბოლო დღეებში კიევში მომხდარ სამთავრობო კორუფციულ სკანდალს, რომელმაც ქვეყანაში უმძიმესი პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია.**

**გთავაზობთ სტატიას შემოკლებით:**

LE FIGARO

## Renaud Girard : «En Ukraine, les quatre cauchemars du président Zelensky»

Par Renaud Girard



# ოთხი კოშმარი ზელენსკისთვის!..

**იმ კორუფციული სკანდალის ფონზე, რომელშიც უკრაინელი მინისტრები აღმოჩნდნენ გახვეულნი და იმ შეტევის შედეგად, რომელსაც რუსეთის არმია უკრაინაში ახორციელებს, ვოლოდიმირ ზელენსკისათვის ძალიან მძიმე და რთული პერიოდი დადგა.**

ორშაბათს უკრაინის პრეზიდენტი ვიზიტით საფრანგეთს ეწვია – მეცხრედ რუსეთის მიერ ომის დაწყებიდან. იგი ემანუელ მაკრონმა ძალიან თბილად მიიღო და თავის უკრაინელ კოლეგას შეიარაღების მთელი არსენალი შესთავაზა – სახმელეთო საარტილერიო სისტემებით დაწყებული, საბრძოლო თვითმფრინავებით დამთავრებული.

ევროპის ერთ-ერთ წამყვანი სახელმწიფოს ლიდერთან ესოდენ მაღალი დონის ურთიერთობა უდავოდ ის პოზიტიური მომენტია, რომლითაც დღეს ვოლოდიმირ ზელენსკის ტრაბახი შეუძლია, მაგრამ, როგორც იტყვიან, მედალს ორი მხარე აქვს: საფრანგეთში წარმატებული ვიზიტი უკრაინაში მომხდარმა კორუფციულმა სკანდალმა დაჩრდილა: ქვეყნის პრეზიდენტად ტრიუმფალური არჩევიდან ექვსი წლის შემდეგ ვოლოდიმირ ზელენსკის განსაკუთრებით რთულ პერიოდში უხდება საქმიანობა – ოთხი კოშმარი ერთმანეთს დაემთხვა და მის წინააღმდეგ გაერთიანდა.

### პირველი – ფრონტზე შექმნილი მძიმე ვითარება

**ნოემბერში ერთი კვირის განმავლობაში რუსეთის არმიამ 134 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია დაიპყრო – ეს ორჯერ მეტია, ვიდრე მთელ ოქტომბერში. თვითონ პრეზიდენტმა აღიარა, რომ უკრაინის არმია იძულებული ხდება მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი – ქალაქი პოკროვსკი დატოვოს. რუსეთის ჯარები წინ გაიჭრნენ ზაპოროჟიეს ოლქშიც – ისარგებლეს ამინდით, როცა უკრაინული დრონები უმოქმედოდ იყვნენ და მოტორიზებული (მსუბუქი და მძიმე ტექნიკით) შეტევა განახორციელეს.**

რა თქმა უნდა, ლეგენდარული და გარდამტეხი ოპერაციები არ განხორციელებულა, მაგრამ დასავლელი ექსპერტები შეშფოთებულნი არიან – რუსეთის რეგულარულ იერიშებს უკრაინის თავდაცვის დარღვევა და ფრონტის ხაზის ჩამოშლა შეუძლიათ.

უკრაინის არმიის ძირითადი პრობლემა დღეისათვის იმით გამოიხატება, რომ მას არ აქვს პირადი შემადგენლობის როტაციის ისეთი შესაძლებლობა, როგორსაც მისი მოწინააღმდეგე – რუსეთის არმია ფლობს. რასაკვირველია, რუსეთს დემოგრაფიული პრობლემები უმწვავდება, მაგრამ მისი მოსახლეობა, უკრაინასთან შედარებით, მაინც ოთხჯერ მეტია. რუსეთს აქვს ისეთი სტრატეგიული ტერიტორიული, დემოგრაფიული, ეკონომიკური რეზერვები, რომლებიც აკლია უკრაინას. უკრაინის სამხედრო მრეწველობა მუშაობს. არმია ბრძოლას აგრძელებს, თავგანწირულ გმირობებს ავლენს და ოსტატურად მოქმედებს: სამამულო წარმოების დრონებითა და რაკეტებით დამანგრეველ დარტყმებს აყენებს რუსეთის ტერიტორიის სიღრმეში მდებარე სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს – სამხედრო აეროდრომებს, ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებს... მაგრამ უნდა ვაღიაროთ: უკრაინის არმია მძიმე საკადრო „შიმშილსაც“ განიცდის – არ ჰყოფნის პირადი შემადგენლობა, ანუ ცოცხალი ძალა ფრონტისათვის.

### მეორე – არმიაში გაწვევის ასაკის შემცირება: „პრო“ და „ანტი“

**როცა რუსეთი უკრაინას თავს დაესხა, 2022 წლის თებერვალში, პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობა შემოიღო და მამაკაცებს – 18-დან 60 წლამდე – სახელმწიფოს ტერიტორიის დატოვება აუკრძალა.**

იმ მომენტში ხელისუფლების მიზანს ჯარისკაცების რეზერვის შენარჩუნება წარმოადგენდა. მაგრამ იმავდროულად ასეთმა ზომამ ბევრი უკრაინელი ოჯახი აიძულა თავიანთი შვილები, რომლებსაც 18 წელი ჯერ არ შესრულებოდათ, უცხოეთში გაეგზავნათ, საიდანაც ისინი უკან აღარ ბრუნდებოდნენ, ფრონტზე გაწვევის შიშით: სასკოლო გამოშვებები ძირითადად მხოლოდ გოგონებისაგან შედგებოდა, ვაჟები კლასებში თითქმის აღარ იყვნენ. უკრაინაში სამხედრო სამსახურისათვის ჯარში გაწვევა 25 წლის ასაკიდან იწყება. როგორც ამას წინათ ჩატარებულმა საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა. არმიაში გაწვევის ასაკის შემცირება მოსახლეობაში უკიდურესად არაპოპულარული გადაწყვეტილება იქნებოდა: გამოკითხულთა 86,5% ასაკის შემცირების წინააღმდეგ გამოდის. რა თქმა უნდა, მომხრეებიც იყვნენ, მაგრამ მათი რაოდენობა ბევრად მცირეა, ვიდრე მოწინააღმდეგეებისა – სულ რაღაც 10%.

ახალგაზრდების გაქცევა-გადინების თავიდან ასაცილებლად და საზოგადოებრივი დაძაბულობის შესამცირებლად, 26 აგვისტოს უკრაინის მთავრობამ 18-22 წლის ასაკის მამაკაცების საზღვარგარეთ წასვლის აკრძალვა გააუქმა, რის შედეგადაც ქვეყნის ხელისუფლება „მეორე უკიდურესობაში“ გადავარდა: მოკლე ხანში უკრაინიდან მეზობელ ქვეყნებში – ძირითადად გერმანიაში და პოლონეთში – ათეულათასობით უკრაინელი წავიდა, ანუ ისინი იქ მყოფ მილიონობით ლტოლვილ-დევნილ თანამემამულეებს მიემატნენ. მამაკაცთა ასეთმა გადინებამ შექმნა შთაბეჭდილება, რომ უკრაინელი ახალგაზრდები უკვე აღარ განიცდიან ისეთ ენთუზიაზმს ქვეყნის დასაცავად, როგორიც ომის პირველ წლებში ჰქონდათ.

### მესამე – დასავლეთს ანტირუსული სანქციები ამოეწურა

**კიდევ ერთი კოშმარი ვოლოდიმირ ზელენსკის აშშ-დან ეწვია: სახელმწიფო მდივანმა მარკო რუბიომ, როცა მას ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა – დამატებით რის გაკეთება შეუძლია ამერიკას, რომ რუსეთი ცეცხლის შეწყვეტაზე აიძულოს – უპასუხა, რომ თეთრმა სახლმა უკვე აღარ იცის, თუ რა ზომა უნდა მიიღოს დამატებით კრემლის მიმართ.**

ყველა ნაბიჯი ფაქტიურად გადადგმულია, ყველა ხერხი მოსინჯულია... მართალია, ბოლო დროს დონალდ ტრამპმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო რუსული ნავთობის ექსპორტის აღსაკვეთად და, შესაბამისად, რუსულ ხაზინაში შემოსავლების შესამცირებლად – კომპანიებს „ლუკოილს“ და „როსნეფტს“ სანქციები დაუწესა, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ ჩანს, კრემლის არმია უფრო გაათფთრებით იბრძვის და ნელ-ნელა ისევ წინ მიიწევს... გარდა ამისა, აშშ-მა უკრაინას იარაღის უფასო პირდაპირ მიწოდება შეუწყვიტა – ამჟამად ვაშინგტონი იარაღს თავის ევროპელ (ნატოელ) მოკავშირეებზე აწვდის, ისინი ფულს იხდიან და უკრაინას უგზავნიან...

რამდენად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა რომაელ პილატესავით „ხელი დაიბანა“ და უკრაინელთა დახმარება თავის ევროპელ მოკავშირეებს გადააბარა? ამას მომავალი გვაჩვენებს. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აშშ აგრძელებს სადაზვერვო მონაცემების მიწოდებას უკრაინისათვის, მათ შორის კოსმოსური თანამგზავრებიდან მიღებულ მასალებისაც, მაგრამ განა ეს მუდმივად გაგრძელდება? ესეც კოშმარული და უპასუხო კითხვაა კიევისათვის.

### დაბოლოს, მეოთხე: გრანდიოზული კორუფციული სკანდალი

**ვოლოდიმირ ზელენსკის მეოთხე და მისთვის გადამწყვეტი კოშმარი რამდენიმე დღის წინ დაიწყო: უკრაინის მთავრობა ისტორიულად მასშტაბურ სკანდალში გაეხვია – პრეზიდენტის პირადი გარემოცვის წევრები, მისი მეგობრები და მინისტრები თურმე მილიონობით დოლარს იჯიბავდნენ უკრაინის ენერგოსტრუქტურების აღსადგენად მიმართული თანხებიდან...**

ამის წარმოდგენაც კი საზარელია იმ ფონზე, როცა უკრაინის მოსახლეობას არ აქვს ელექტროენერგია, სიცივით იყინება და წყლის ნაკლებობას განიცდის. თემურ მინდიჩი, რომელიც ვოლოდიმირ ზელენსკის მეგობარია (იგი თავის დროზე ერთობლივი პროექტის „95-ე კვარტლის“ პროდიუსერიც იყო), ქვეყნიდან გაიქცა, თავი ისრაელს შეაფარა და დაპატიმრება ამ ეტაპზე თავიდან აიცილა. უკრაინა „მინდიჩგეიტის“ შედეგებს იმკის...

2025 წლის ივლისში პრეზიდენტის ინიციატივით, მიღებული იქნა კანონი, რომლის თანახმად, ანტიკორუფციული ბრძოლის დამოუკიდებელი ორგანოები – ეროვნული ბიურო და სპეცპროკურატურა პირდაპირ უნდა დაქვემდებარებოდა ქვეყნის მეთაურს, ანუ ვოლოდიმირ ზელენსკის. ამ ფაქტმა საზოგადოებრივი მღელვარება და დასავლეთის უკმაყოფილება გამოიწვია – საპროტესტო აქციების შემდეგ უკრაინის ხელისუფლება იძულებული გახდა უკან დაეხია და აღნიშნული სტრუქტურებისათვის დამოუკიდებლად მოქმედების ფუნქციები დაებრუნებინა.

რასაკვირველია, კორუფციული სკანდალი ძალზე სახიფათო შედეგების მომტანია უკრაინის მმართველი პარტიის – „ხალხის მსახურის“ მთავრობისათვის: მომხდარი ფაქტი უკრაინის მოსახლეობაში უდიდეს ზიზღს იწვევს. სკანდალი ასევე ძალზე შემაშფოთებელია უკრაინის დასავლელი სპონსორებისათვისაც. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2019 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს კომიკოსი და პრეზიდენტობის კანდიდატი ვოლოდიმირ ზელენსკი ამომრჩეველს ორ მთავარ და ძირითად პირობას აძლევდა – რუსეთთან შერიგებასა და კორუფციის ამოძირკვას, გასაგები იქნება ამომრჩევლის ამჟამინდელი განწყობა: ქვეყანა უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

**ბუნებრივია, პირველი დაპირების რეალიზება მთლიანად პრეზიდენტზე არ იყო დამოკიდებული, მაგრამ მეორის შესრულება მხოლოდ ვოლოდიმირ ზელენსკის ნებას ექვემდებარებოდა. პრეზიდენტმა თავისი ძირითადი გამოცდა ვერ ჩააბარა.**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ.**

## ვიქტორ ორბანი: ბრიუსელს სურს, რომ რუსეთ-უკრაინის ომის ხარჯები ჩვენმა შვილიშვილებმა გადაიხადონ

უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა **ვიქტორ ორბანმა** მწვავედ გააკრიტიკა ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი, რომელიც მომავალი ორი წლის განმავლობაში უკრაინისთვის 135 მილიარდი ევროს ოდენობის ფულადი დახმარების გამოყოფას აპირებს.



**„ევროკომისიის პრეზიდენტი ითხოვს მომდევნო ორი წლის განმავლობაში არანაკლებ 135 მილიარდი ევროს გამოყოფას. ეს უნგრეთის წლიური ეკონომიკის 65%-ია, უნგრელი პენსიონერების შვიდი წლის პენსიაა და ევროკავშირის წლიური ბიუჯეტის თითქმის 3/4-ია. ასტრონომიული თანხაა, რომელიც დღეს არ არსებობს. ის უბრალოდ არ არსებობს. ბრიუსელი „ჯადოსნური ხერხით“ ისევ ერთიან ევროპულ კრედიტად იქცევა, რომელიც ჩვენი შვილიშვილების მიერ რუსეთ-უკრაინის ომის ხარჯების დაფარვის გარანტიას იძლევა“**, – დაწერა ორბანმა სოციალურ ქსელ X-ში.

**„ჩვენ უნგრელებს გვთხოვენ წვლილის შეტანას. ანუ ქვეყანას, რომელსაც ყოველდღიურად 1 მილიონი ევროთი გვაჯარიმებენ, რადგან მიგრანტებს არ ვუშვებთ საზღვარზე. ქვეყანას, რომელსაც ფინანსურად გვსჯიან ომთან და გენდერულ იდეოლოგიასთან დაკავშირებით ჩვენი პოზიციის გამო. ეს არამცთუ შეუძლებელი, არამედ კატეგორიულად აბსურდულია. უნგრეთის პასუხი არ დააყოვნებს“**, – დასძინა **ორბანმა**.



# ლუი არმსტრონგი – ამერიკული ჯაზის ლეგენდა

**ლუი დენიელ არმსტრონგი 1901 წლის 1 აგვისტოს დაიბადა ამერიკის ლუიზიანის შტატის ქალაქ ახალ ორლეანში. იგი ამერიკული ჯაზის დამფუძნებელი, საყვირზე დამკვრელი, მომღერალი და ანსამბლის ხელმძღვანელი გახლდათ. დიუკ ელინგტონთან, ჩარლი პარკერთან, მაილს დეივისთან და ჯონ კოლტრეინთან ერთად ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ჯაზის განვითარებაზე და განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მსოფლიოში მის პოპულარიზაციაზე.**

ლუი დაიბადა ქალაქის შავკანიანთა ყველაზე ღარიბ რაიონში. იზრდებოდა არასრულყოფილ ოჯახში. მამამისმა ოჯახი მიატოვა, როცა იგი ჯერ კიდევ სულ პატარა იყო. დედა პროსტიტუციით იყო დაკავებული. პატარა ბიჭუნა თავის უმცროს დასთან ბეატრისასთან ერთად ბებიას ჯოზეფინას მიაბარეს აღსაზრდელად, რომელსაც მონობის პერიოდი ჰქონდა გამოვლილი. რამდენიმე ხნის შემდეგ დედამ იგი თავისთან წაიყვანა, თუმცა საჭირო ყურადღებას ვერ აქცევდა. ლუი პატარაობიდანვე ჩართული იყო მძიმე შრომაში: კლიენტებს ქვანახშირს უზიდავდა, გაზეთებს ყიდდა, სხვადასხვა შავ სამუშაოებს ასრულებდა. შვიდი წლის ასაკში დამხმარედ მოეწყო ქვანახშირით მოვაჭრე კარნოფვეკების ებრაულ ოჯახში, რომლებიც ახალი გადმოსახლებულები იყვნენ რუსეთის იმპერიიდან. იგი მათ ოჯახში ხშირად რჩებოდა. ასე რომ ლუი მათ შვილობილად იქცა. მათი საშუალებით ცოტაოდენ რუსულ ენასაც დაეუფლა. კარნოფვეკები სტორივილში ცხოვრობდნენ, რომელიც ცნობილი იყო თავისი ადათებით, ასევე ბარებით, კლუბებით, საცეკვაო დარბაზებით და საროსკიპო სახლებით. სწორედ კარნოფვეკების დახმარებით შეიძინა კორნეტა, მისი პირველი საკუთარი მუსიკალური ინსტრუმენტი.

არმსტრონგმა ადრე დაიწყო სიმღერა ქუჩის ერთ-ერთ პატარა ანსამბლში, უკრავდა ბარაბანზე და რამდენიმე წელი მუსიკალურ სმენას ავარჯიშებდა. პირველი მუსიკალური განათლება მან შრომა-გასწორების ბანაკში, ფერადი მოზარდების თანხლებით შეიძინა, სადაც იგი 1913 წელს ცუდი ყოფაქცევის გამო მოხვდა. აქ იგი მომენტალურად შეუერთდა სასულე ორკესტრს და ეგრევე დაეუფლა სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრას. ორკესტრი იმ დროისათვის ტრადიციულ რეპერტუარს – მარშს, პოლკას და პოპულარულ სიმღერებს ასრულებდა. განთავისუფლების შემდეგ ლუიმ გადაწყვიტა მუსიკოსი გამხდარიყო. იგი თავის მფარველობის ქვეშ კინგ ოლივერმა აიყვანა, რომელიც იმ დროს ერთ-ერთ ცნობილ კორნეტისტად ითვლებოდა ქალაქში. არმსტრონგი მას თავის ნამდვილ მასწავლებლად თვლიდა. ოლივერა 1918 წელს ჩიკაგოში გადავიდა და ლუიც თან წაიყვანა, სადაც ცნობილ ტრომბონისტ კიდ ორისთან ერთად გამოდიოდა ანსამბლში. აქ გამოდიოდნენ ისეთი მუსიკოსები, როგორებიცაა – პოლ დომინგესი, ზატი სინგლტონი, ალბერტ ნეკოლა, ბარნი ბიგარდი და ლუის რასელი. მონაწილეობდა მშობლიური ქალაქის ჯაზურ ზეიმში და ფეტსა მერეიბლის გუნდში უკრავდა, რომელიც გამოდიოდა ‘დანსინგებში“ ზაფხულის პერიოდში მისისიპზე მოცურავე გემებზე, რა დროსაც მერეიმლისგან საკმაოდ პროფესიონალურ დონეზე აითვისა სანოტო განათლების საფუძვლები, რის შემდეგაც არმსტრონგი კვალიფიციურ მუსიკოსად ჩამოყალიბდა. მუსიკოსების წრეში მას მეტსახელი „სატჩმო“ („pok-mexa“) შეარქვეს.

1922 წელს ოლივერს დასჭირდა მეორე კორნეტისტი და მან არმსტრონგი ჩიკაგოში, რესტორან „ლინკოლნ გარდენში“ დასაკრავად მიიწვია. იმ დროს ეს ბენდი ყველაზე აღიარებულ ჯგუფად ითვლებოდა მაშინდელ ჩიკაგოში, რამაც ლუის მომავალ კარიერაზე უდიდესი როლი ითამაშა. ჩიკაგოში ოლივერის „კრეოლის ჯაზ-ბენდში“ არმსტრონგმა პირველი მუსიკალური ჩანაწერი განახორციელა.



1924 წელს იგი მეორედ დაქორწინდა ანსამბლის კონცერტმეისტერ ლილ ხარდინზე (მისი პირველი მეუღლე ახალორლეანელი დეიზი პარკერი იყო). მეუღლის მონდომებით და რჩევით არმსტრონგი დამოუკიდებელ კარიერას იწყებს. იგი თავის მეუღლესთან ერთად ნიუ-იორკში გადავიდა და ფლეტჩერ ჰენდერსონის ორკესტრში მოეწყო. აქ მან დიდი აღიარება მოიპოვა. ჯაზის მოყვარულები სპეციალურად მიდიოდნენ მუსიკოსის ცეცხლოვანი სოლო შესრულების მოსასმენად. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ლუი არმსტრონგის საკუთარი სტილის ჩამოყალიბება: ნათელი, იმპროვიზირებული, ნოვატორული და ახლებური გამოგონებებით. ამ პერიოდში არმსტრონგი პიანისტ კლარენს უილიამსის ანსამბლ „ბლუ ფაივ“-ის ჩანაწერებში და სხვადასხვა ანსამბლებში მონაწილეობს ბლუზისა და ჯაზის ისეთ ვირტუოზებთან, როგორებიც იყვნენ: ტრიკსი სმიტი, მარაინი, ალბერტო ხანტერი, კლარო სმიტი, მეტი ჯონსი, ბესი სმიტი, ევა ტეილორი, ბირჯინი ლისტონი, მარგარეტ ჯონსონი, სიპი უოლესი, პერი ბრეტფორდი.

1925 წელს ფლეტჩერ ჰენდერსონთან დადებული ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ლუი არმსტრონგი ჩიკაგოში დაბრუნდა. ბევრს მუშაობდა, რამაც მას წარმატება მოუტანა. უკრავდა ერეკინ ტეიტთან თეატრალურ შოუ-ბენდში, სადაც ნათლად წარმოჩინდა მისი სამსახიობო უნარ-ჩვევები. თავისი საუკეთესო სტუდიურ ჯგუფთან ერთად, სწორედ ამ პერიოდში მოხდა ისტორიული ჩანაწერები. ამ წლების ჩანაწერები ტრომბონისტ კიდი ორისთან, კლარნეტისტ ჯონ დოდესთან, ბანჯოზე შემსრულებელ ჯონ სენტსირთან და პიანისტ ლილ ხანდინთან (მოგვიანებით ჩაწერებში მონაწილეობდნენ – ფრედ რობინსონი, ჯიმი სტრონგი, ერლ ხაინსი და ზატი სინგლტონი) ჯაზური კლასიკის შედევრებად იქცნენ. 1927 წელს მან ჩამოაყალიბა ახალი სტუდიური შემადგენლობა, რომლებმაც არაერთი შესანიშნავი ჩანაწერი განახორციელეს. ამ პერიოდშივე არმსტრონგმა უარყო კლარნეტი და მთლიანად გადავიდა საყვირის დაკვრაზე, რამაც მისი განსაკუთრებულად გამორჩეული სიყვარული დაიმსახურა – ნათელი და არაჩვეულებრივი ჟღერადობის გამო. იგი დუეტის სახით გამოსვლას იწყებს პიანისტ ერლომ ხაინსთან და სრულიად ახალი მანერით „სკეტ“-ით სიმღერას, რამაც მსმენელებში უდიდესი წარმატება მოუტანა.

1929 წელს ლუი არმსტრონგი სამუდამოდ გადაბარგდა ნიუ-იორკში. დაიწყო ბიგ-ბენდის ერა, რომელიც მთლიანად კონცენტრირდა ცეკვის მიმართულებით, იმ დროს პოპულარული „სვიტ მუსიკის“ სახით. არმსტრონგმა ამ მიმართულებას თავისი გამორჩეული და ინდივიდუალური სტილი შესძინა და სწრაფად წარმოჩინდა ვარსკვლავად.

1930 წლიდან მუსიკოსი ბევრს მოგზაურობდა, გამოდიოდა ცნობილ ბიგ-ბენდებში ლუის რასელის და დიუკ ელინგტონის, ხოლო შემდეგ კალიფორნიაში ლეონ ელკინსის და ლეს ჰაიტის ორკესტრებში. მონაწილეობას იღებს ჰოლივუდის კინოგადაღებებში.

1933 წლიდან იგი კვლავ ჯაზ-ბენდს ხელმძღვანელობს, ხოლო 1935 წლიდან არმსტრონგის მთლიანი საქმიანობა თავისი კონტროლის ქვეშ აიყვანა მისმა ახალმა, თავისი საქმის პროფესიონალმა მენეჯერმა ჯო გლეიზერმა. 1936 წელს ნიუ-იორკში მისი ავტობიოგრაფიული წიგნი გამოვიდა.

შემდგომ არმსტრონგს ჯანმრთელობის პრობლემები დაეწყო, მან ზედა ტუჩის მუნდშტუკზე ნამეტანი დაწოლისა და არასწორი ხმარების შედეგად (კანის დეფორმაციის გამო), არაერთი ოპერაცია გადაიტანა. ამავე დროს მოუწია სახმო იოგების სპეციალური ოპერაცია, რომლის მეშვეობითაც იგი თავისი ხრინწიანი ხმის შეცვლას ცდილობდა, თუმცა თავისებური და ორიგინალური სიმღერის მანერის სილამაზეს და ღირებულებას არმსტრონგი მოგვიანებით მიხვდა.

1938 წელს ლუი არმსტრონგი მეოთხედ დაქორწინდა, მან ცოლად შეირთო მოცეკვავე ლიუსილ უილსონი, რომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე იცხოვრა.

1947 წელს მენეჯერმა ჯო გლეიზერმა არმსტრონგისთვის შეკრიბა ანსამბლი „ALL STARS“ („ყველა ვარსკვლავი“). ეს მართლაც იყო ორკესტრი ყველა ვარსკვლავის მონაწილეობით. იმ დროს მასში ლუი არმსტრონგის (საყვირი, ვოკალი) გარდა შედიოდნენ: ერლ ხაინე (ფორტეპიანო), ჯეკ ტიგარდენი (ტრომბონი), ბარნი ბიგარდი (კლარნეტი), ბად ფრიმენი (ტენორ-საქსოფონი), სიდ კეტლეტი და სხვა აღიარებული ოსტატები. პერიოდულად მუსიკოსები იცვლებოდნენ, რამაც უცნობ ჯაზმენებს დიდი სახელი მოუხვეჭა. ორკესტრი მთლიანად ორიენტირებული იყო „დიქსილენდის“ სტილის შესრულებაზე, ასევე პოპულარული სიმღერების ჯაზურად გადამუშავებაზე. 1950-იანი წლების შუა პერიოდისათვის ლუი არმსტრონგი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მუსიკოს-შოუმენად ითვლებოდა, ამავე დროს იგი 50-ზე მეტ კინოფილმში გადაიღეს. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მას „ჯაზის ელჩის“ არაოფიციალური ტიტული მიანიჭა და არაერთხელ გაუკეთა ორგანიზება მუსიკოსის მსოფლიო ტურნეს.

მომღერლის პოპულარობა იზრდებოდა. აღსანიშნავია მისი ერთობლივი მუშაობა სიდნეი ბეშთან, ბინგ კროსბისთან, საემ ოლივერთან, დიუკ ელინგტონთან, ოსკარ პიტერსონთან და ჯაზის სხვა ლეგენდებთან. მონაწილეობდა ჯაზ-ფესტივალებში – 1948 წელს ნიცაში, 1956-58 წლებში ნიუ-იორკში, 1959 წელს იტალიასა და მონტერეიში, გასტროლები ჰქონდა ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, აზიაში, აფრიკაში. მომღერლის მიერ ორგანიზებულ იქნა არა ერთი ფილარმონიული ჯაზის კონცერტი ტაუნჰოლში და მეტროპოლიტენ-ოპერის სცენაზე. ორიგინალურ და კლასიკურ სტილშია შექმნილი 1950-იან წლებში მისი და ელა ფიცჯერალდის მიერ გერშვინის ოპერა „პორგი და ბესის“ ჩანაწერი.

1959 წელს არმსტრონგმა ინფარქტი გადაიტანა, რამაც მას ხშირი გამოსვლის საშუალება მოუსპო, თუმცა იგი კვლავ აგრძელებდა შემოქმედებით საქმიანობას. ამ პერიოდში არმსტრონგი მხოლოდ როგორც ვოკალისტი ისე მონაწილეობდა, ქმნიდა ჩანაწერებს ტრადიციული კომპოზიციების ახალ-ახალ ვერსიებს გოსპელის სტილში. ბარბრა სტრეიზანდთან ერთად მონაწილეობა მიიღო მიუზიკლში „გამარჯობა, დოლი“, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ამერიკის „ჰიტ-პარადის“ გაყიდვებში. 1971 წელს გარდაცვალებამდე 5 თვით ადრე ცოცხალი შესრულებით, განხორციელდა მისი საყვირზე შესრულებული საქვეყნოდ ცნობილი კომპოზიციების ჩანაწერები.

1960-იანი წლების ბოლოს მუსიკოსის ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა. 1971 წლის 21 იანვარს იგი საბოლოოდ გამოვიდა ტელეგადაცემაში. ამის შემდეგ მას ორი თვე მოუწია საავადმყოფოში ყოფნა. 1971 წლის 5 ივლისს არმსტრონგმა მოითხოვა ორკესტრის რეპეტიცია, თუმცა მას ეს აღარ დასცალდა და 6 ივლისს გარდაიცვალა. მსოფლიოს თითქმის ყველა გაზეთი გამოეხმაურა ამ მოვლენას, მათ შორის საბჭოთა პრესა. დაკრძალვის ცერემონიამ საზეიმო სახე მიიღო და ტელევიზიით გადაიცემოდა ქვეყნის მასშტაბით. 8 ივლისს სამგლოვიარო გამომშვიდობებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური განკარგულებით მისი ცხედარი ამერიკის ნაციონალური გვარდიის სასწავლო მანეჟში დაასვენეს. პრეზიდენტ ნიქსონის განცხადებაში ნათქვამია:

> **„პირველი ლედი და მე სრულად ვიზიარებთ მილიონობით ამერიკელი ადამიანის მწუხარებას ლუი არმსტრონგის გარდაცვალების გამო. იგი იყო ამერიკული ხელოვნების ერთ-ერთი შემქმნელი და მისი უბადლო შემსრულებელი, ინდივიდუალურობით გამორჩეული პიროვნება. მან თავისი ხელოვნებით მსოფლიო აღიარება მოიპოვა. მისმა ბრწყინვალე ნიჭიერებამ და კეთილმა საქმიანობამ ჩვენი სულიერება გაამდიდრა, გახადა იგი უფრო სრულყოფილი“.**
>
> **და მართლაც უნიკალურია ლუი არმსტრონგის როლი და დამსახურება ამერიკული (არა მარტო) ჯაზური მუსიკის შექმნასა და ჩამოყალიბებაში. მისი ყველასგან გამორჩეული შესრულების ინდივიდუალური მანერა და ხელწერა დღესაც აღფრთოვანებას იწვევს ნებისმიერ მსმენელში.**

**გელა ქოქიაშვილი,**

**ხელოვნებათმცოდნე, ვოკალისტთა საკავშირო და რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ქართული კულტურის ამაგდარი.**





# მეშვიდეც მოახლოვდა

**კვირას, თუ რაღაც წარმოუდგენელი რამ არ მოხდა, საქართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებს ზედიზედ მე-7 ევროპული ტრიუმფი უნდა მივულოცოთ, თუმცა სპორტი მაინც სპორტია და ნუ ვიჩქარებთ.**

უკვე გაუწყეთ, რომ მეოთხედფინალში უმცროსმა ბორჯღალოსნებმა 10 ლელოთი გააცამტვერეს პოლონეთი – 64:7, ნახევარფინალში კი მხოლოდ 4 აკმარეს ტურნირის მასპინძელ ჩეხეთს და ზეგ სატიტულო ბრძოლას ესპანელ თანატოლებთან გამართავენ, რომლებმაც, თავის მხრივ, ნიდერლანდელებთან 52:0 გაინავარდეს.

### საქართველო – ჩეხეთი 26:7

**ლელო:** ტაბატაძე, წიკლაური, ჭაკუა, უშვერიძე.
**გარდასახვა:** ბუცხრიკიძე (2), ჭაკუა.
**მთავარი მწვრთნელი:** ზურაბ ამონაშვილი.

# ვაი, ასეთსა აწმყოსა!..

**თითქოს გუშინ იყო, თბილისში იმხანად ვარსკვლავებით გაძეძგილი მუნდიალის ნახევარფინალისტი ბულგარეთი რომ დავამარცხეთ, რითაც ეგრეთ წოდებულმა დაკარგულმა თაობამ ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის ეპოქაში სასახელო ფურცელი ჩაწერა. სხვათა შორის, იმ მრისხანე მეტოქეს სოფიაშიც ღირსეული ბრძოლა გავუმართეთ...**

და აი, დაახლოებით მეოთხედი საუკუნის შემდეგ უკვე ფავორიტის სტატუსით ვასილ ლევსკის სახელობის სტადიონს ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრები ისევ ესტუმრა, თანაც 18 ნოემბერს – ტაშკენტში დინამოელთა პირველი საკავშირო ტრიუმფის საკულტო თარიღის 61-ე წლისთავზე.

სამწუხაროდ, მუნდიალ – 2026-ის შესარჩევი ტურნირი ისევე სამარცხვინოდ დავასრულეთ, როგორც დავიწყეთ და ოთხგუნდიან ჯგუფში მესამე ადგილი სამადლოდ მხოლოდ ბურთების შედარებით უკეთესი შეფარდებით დავიკავეთ, მაგრამ დავკარგეთ მთავარი – ის პატივისცემა, რაც შარშანდელ ევროზე გასვლითა და იქ გამოსვლით დავიმსახურეთ.



### ბულგარეთი – საქართველო 2:1

**საქართველო:** მამარდაშვილი, გოჩოლეიშვილი, ლოჩოშვილი, კაშია, კიტეიშვილი (აბუაშვილი), წიტაიშვილი, მექვაბიშვილი (ქვილითაია), ქოჩორაშვილი, დავითაშვილი (გულიაშვილი), ზივზივაძე, კვარაცხელია.

**გოლი:** ლოჩოშვილი.

**მთავარი მწვრთნელი:** სანიოლი.

უჯიგრო, ერთფეროვანი, მოსაწყენი, უსახური – და კიდევ მრავალი შეფასება შეესაბამება იმ ანტიფეხბურთს, რაც ამ ბოლო დროს დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ამჯერადაც შემოგვთავაზეს ჯვაროსნებმა.

ამიტომაც ვსვამთ კითხვას: შეუძლიათ კი მათ ტრავმირებულ ლიდერთა გარეშე მეტი? ან ხომ არ ამოწურა თავისი შესაძლებლობები ბიჭების ფრანგმა თავკაცმა, ვისიც ყოველთვის მადლიერნი ვიქნებით მიღწეული წარმატებებისთვის?

და კიდევ: აწმყო რომ შემთხვევით არ შემოგვწყრა, იმავე დღეს სხვა ქართულმა ნაკრებებმაც დაგვარწმუნეს: **21-წლამდელები:** გერმანიასთან 0:2 და **19-წლამდელები**: უსუსტეს გიბრალტართან 1:0(!).

# რამდენი წლისაა ქართული კალათბურთი?

**საგულისხმოა ისიც, რომ კავკასიის საგანმანათლებლო ოლქის მართვის შესახებ 1901 წლის ცირკულარის დანართებში გამოქვეყნებულია პარიზის 1900 წლის მსოფლიოს გამოფენაზე მოგზაურობის ანგარიშები. მათი უმრავლესობა წაკითხულია 1900 წლის 3 დეკემბერს ამიერკავკასიის მასწავლებელთა სემინარიაში გამართულ პედაგოგიურ კრებაზე გორელი მასწავლებლებისა და სემინარიის აღსაზრდელთა თანდასწრებით.**

მასწავლებელთა ინსტიტუტის მასწავლებელ-აღმზრდელს **ე. აგაპიევს** თავის ანგარიშში ფიზიკურ აღზრდასთან დაკავშირებით ნახსენები აქვს, რომ ტანვარჯიშს კვირაში 2 საათი ეთმობა. ვარჯიში მიმდინარეობს ხელკეტით, გირებით, უფრო მძიმე საგნებით. დანარჩენი დრო „Basket-Ball“-ის (ბურთით) თამაშს ეთმობა.

ახლა კი ა. სკოტაკის 1901 წელს გამოცემული წიგნიდან იმ ამონარიდებს შემოგთავაზებთ, რომელშიც კალათბურთის წესებზეა ლაპარაკი.

Basket Ball (კალათბურთი)
(ბურთის კალათში ტყორცნა)

თამაში იმართება 40-60 არშინის სიგრძისა და 20-30 არშინის სიგანის მოგრძო ოთხკუთხედ ადგილას. ის იხაზება (ან აღინიშნება დროშებით) სამ თანაბარ ნაწილად. კალათებიდან 7 არშინის დაშორებით ორი მოკლე ხაზია გავლებული „თავისუფალი ტყორცნისთვის“.

თამაშისთვის აუცილებელია შემდეგი საგნები: ერთი დიდი ბურთი (ისეთი, როგორიც ინგლისურ თამაშში „Foot ball“), 25 სანტიმეტრის დიამეტრით; ორი კალათი, თითოეული ორ-ორი რკინის რგოლისგან შემდგარი. ისინი ერთმანეთთან თევზსაჭერი ბადის მსგავსი ქსოვილით არის დაკავშირებული. ქვედა რგოლი დიამეტრით ბურთზე პატარაა. მასზეა მიმაგრებული ზედა რგოლზე გადმოვლებული თოკი, რომელიც ბურთის კალათიდან ამოსაგდებადაა გამიზნული. საკმარისია, თოკს ჩამოჰკრა ხელი.

კალათები მიმაგრებულია ბოძებზე, რომლებიც მიწაში ისეა ჩარჭობილი, რომ კალათის ზედა ნაწილი მიწიდან 4.5 არშინითაა დაშორებული.

მოთამაშეები ორ პარტიად (შავებად და თეთრებად) იყოფიან – 5-5, 7-7 ან 9-9 კაცად, სათამაშო მოედნის ზომის შესაბამისად...

თამაშის არსი იმაში დგომარე-



ობს, რომ თითოეული პარტია ცდილობს, ბურთი საკუთარი კალათიდან რაც შეიძლება შორს ტყორცნოს და მეტოქე პარტიის კალათში ჩააგდოს.

**შენიშვნა:** ბურთის ერთი ან ორივე ხელით ტყორცნა შეიძლება, მაგრამ მისი მუშტით მოგერიება აკრძალულია.

კალათში ბურთს უფრო ხშირად თავდამსხმელები ტყორცნიან... მოთამაშეები ვალდებული არიან, რაც შეიძლება სწრაფად მიაწოდონ ბურთი თავდამსხმელებს... ნებისმიერ მოთამაშეს შეუძლია გაგზავნოს ბურთი კალათისკენ, თუკი შედეგის მიღწევის კარგი შესაძლებლობა აქვს.

მცველებმა უნდა იზრუნონ, რომ ბურთი მათს კალათში არ აღმოჩნდეს. როცა ხედავენ, ბურთი მათი მიმართულებით მოფრინავს, ისინი ხელის აწევით ან, შესაძლებლობის მიხედვით, მაღლა შეხტომით იგერიებენ ბურთს ან ტყორცნიან მას პარტნიორის მიმართულებით. ყოველივეს გათვალისწინებით, მცველებიც ძალიან არ უნდა დაშორდნენ თავიანთ ადგილს.

თამაშს იწყებს ხელმძღვანელი, ანუ მსაჯი. იგი ვალდებულია, თვალი ადევნოს, მოთამაშეებმა წესები არ დაარღვიონ. წესების დარღვევისას, ხელმძღვანელი წყვეტს თამაშს და მერე განაახლებს. მის გადაწყვეტილებას განურჩევლად ყველა ემორჩილება.

წილისყრით წყდება, რომელი პარტია ირჩევს თავისთვის სასურველ კალათას. ხელმძღვანელი ან, თუ შეჯიბრებაა, მსაჯი იწყებს შეხვედრას. მოედნის ცენტრში მდგარი ბურთს მაღლა ჰაერში შეისვრის.

**შენიშვნა:** ამგვარად იქცევა ხელმძღვანელი – ისევ იწყებს თამაშს, თუ რომელიმე მხარე ბურთს ჩააგდებს კალათში.

ხელმძღვანელის მიერ მაღლა შესროლილი ბურთი მიწაზე დაეცემა, ის პირველად უნდა აიტაცოს და რომელიმე მეგობარს გადასცეს შუამოთამაშემ (4 ნომრად მოთამაშემ). თუ ბურთს სხვა შეეხება, ეს წესის დარღვევაა.

არც ერთ მოთამაშეს 5 წამზე მეტ ხანს ბურთის ხელში დაჭერა არ შეუძლია. წესის დარღვევისას ხელმძღვანელი აჩერებს თამაშს და იმ ადგილიდან, სადაც მოთამაშეს ბურთი ჩამოართვა, მას ჰაერში მაღლა შეისვრის. ასევე იქცევა ხელმძღვანელი, თუ ბურთს ერთდროულად ორი ან მეტი მოთამაშე დაიჭერს.

ბურთის ტყორცნა შეიძლება ნებისმიერი მიმართულებით ერთი ან ორივე ხელით. მისი მოგერიება მუშტით ან ფეხით არ შეიძლება. ბურთის დაჭერა მხოლოდ ხელითაა ნებადართული.

ბურთის ტარება აკრძალულია. თითოეულმა მოთამაშემ ბურთი იმ ადგილიდან უნდა გადააწოდოს, სადაც მას დაიჭერს. ყოველგვარი გადახრა წესის დარღვევაა. ბურთის მიმღებს შეუძლია დაიხაროს, შემოტრიალდეს, მაგრამ არ უნდა გადაადგილდეს.

**შენიშვნა:** ამ წესიდან გადახვევა ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშე ბურთს რბენისას დაიჭერს, ოღონდ მან მაშინვე უნდა გადააწოდოს ბურთი სხვას ან გაჩერდეს...

კალათი „აღებულია“, როცა ბურთი მასში ჩავარდება და დარჩება... თამაშის განახლებამდე მოთამაშეები თავ-თავიანთ ადგილებს იკავებენ.

თუ შეჯიბრება ტარდება, მაშინ დრო ორ ნაწილად იყოფა: 10-10, 15-15 ან 20-20-წუთიანად პირველი ნახევრის შემდეგ 10-წუთიანი შესვენებით. პირველი ნახევრის შემდეგ პარტიები კალათებს ცვლიან.

თამაშის წესების დარღვევის შემთხვევაში (მუშტით ან ფეხით ბურთის მოგერიება, მისი ტარება, მოთამაშის დაჭერა, ხელის კვრა, მეტოქის წაქცევა, ბურთის ხელიდან წაგლეჯა, მოედანზე უხეში ქცევა და სხვ.) მოწინააღმდეგე მხარეს ბურთის „თავისუფლად ტყორცნის“ უფლება ეძლევა. თავდამსხმელი ბურთს იღებს და სპეციალური ნიშნულიდან კალათისკენ ტყორცნის. მას იმ ხაზის დატოვება მანამ არ შეუძლია, სანამ ბურთი კალათში არ ჩავარდება ან მიზანს აცდენილი მიწაზე არ დავარდება.




„თავისუფალი ტყორცნისას“ მოთამაშისთვის ხელის შეშლა აკრძალულია – მასთან 3 არშინზე მიახლოება არ შეიძლება. წესის დარღვევის შემთხვევაში „თავისუფალი ტყორცნა“ განმეორდება. ჩაგდებული ბურთი 1 ქულად, თამაშიდან კალათში მოთავსებული ბურთი კი 2 ქულად ითვლება...

ეს თამაში საინტერესო და გამოსადეგია როგორც ბიჭებისთვის, ისე გოგონებისთვის, როგორც უფროსებისთვის, ისე ბავშვებისთვის.

მასში მთავარი ის არის, რომ მოთამაშეთაგან საკუთარ თავზე არავინ ფიქრობს; ყველა, უპირველესად, იმას უნდა ცდილობდეს, რაც უფრო გამოსადეგია მისი პარტიის წევრისთვის. ისინი ბურთს ერთმანეთს ხელიდან ხელში რაც უფრო სწრაფად და მოხერხებულად გადასცემენ, მით უფრო მეტია მოგების შანსი.

**შენიშვნა:** ბურთის ტყორცნა უმჯობესია რკალისებურად და ქვემოდან ზემოთ. საჭიროების შემთხვევაში მისი ტყორცნა შეიძლება მაშინაც, როცა ბურთი ხელებით თავზემოთ გიჭირავს.

ზამთრის პირობებში თამაშის ჩატარება შეიძლება გადახურულ შენობაში (ტანვარჯიშულ დარბაზებში), თან გვერდითი ხაზის კედლიდან ორი არშინის დაშორებით. ზოგ შემთხვევაში თამაში შეიძლება ერთი კალათითაც“...

ქართული კალათბურთის ისტორიის ძიება ამით არ დასრულებულა... ჩვენ ვიცით თარიღები, სახელები და გამარჯვებები, მაგრამ მათ უკან უფრო ღრმა და შორეული ფესვებიც იმალება. ისტორია წერტილით არ მთავრდება. ის ყოველთვის მრავალწერტილია და მასშია ჩვენი პასუხისმგებლობა – მოვიძიოთ სიმართლე, აღვადგინოთ დავიწყებული და მომავალს შევუნახოთ. საქართველოში კალათბურთი მხოლოდ სპორტი არ არის – ის ქვეყნის კულტურული ცხოვრების სარკეცაა, შთამბეჭდავი თავგადასავალი, რომელიც დღემდე გრძელდება და კიდევ ბევრ საინტერესო აღმოჩენას გვპირდება.

**ვაჟა დანელია,**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

დასასრული, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №154

# საველე სწავლება — „დიდგორი 2025“



**უწყებათაშორისი სამეთაურო-საშტაბო სწავლება „დიდგორი 2025“ სხვადასხვა საველე კომპონენტის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს. „დიდგორი 2025-ის“ ფარგლებში ალგეთის საწვრთნელ ბაზაზე რეზერვისტების მონაწილეობით შემაჯამებელი საველე სწავლება გაიმართა, სადაც მათ ჩასაფრების ოპერაცია წარმატებით ჩაატარეს და მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკაში განახორციელეს.**

წვრთნებში საქართველოს ეროვნული გვარდიის მე-20 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის 204-ე ბატალიონის რეზერვისტები მონაწილეობდნენ. იმიტირებული სცენარის მიხედვით, რეზერვისტებმა კონტაქტზე რეაგირებისა და სამედიცინო ევაკუაციის ტიპის ამოცანები შეასრულეს.

დიდგორის“ სწავლებაში წელს პირველად ჩაერთო სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო, რომელმაც, კომპეტენციის ფარგლებში, იმიტირებული სცენარის მიხედვით, სამობილიზაციო რეზერვთან დაკავშირებული ისეთი ღონისძიებები გაათამაშა, როგორიცაა რეზერვის შეტყობინება, გამოძახება და თავშეყრის პუნქტებამდე მიყვანა.

„დიდგორი 2025“ კოორდინირებულ და ერთობლივ მოქმედებებს ითვალისწინებს როგორც საშტაბო, ისე საველე მიმართულებით. სწავლების განმავლობაში რეზერვისტთა მომზადების ცენტრი მოქმედებს, სადაც ისინი ტაქტიკურ საკითხებში გადიან მომზადებას.

# კრება წმიდისა მთავარანგელოზთა მიქაელისა, გაბრიელისა, რაფაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა...

**21 ნოემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მთავარანგელოზთა: მიქაელისა, გაბრიელისა, რაფაელისა, ურიელისა, სელაფიელისა, ეგუდიელისა, ბარაქიელისა (ასევე იერომიელისა და ტახნიელისა) კრების ხსენებას...**



საქართველოში მთავარანგელოზთა დღესასწაულს განსაკუთრებულად ზეიმობენ: თბილისის, ქუთაისის, ჯუმათის, გრემის, მენჯის, კვათანის, შუამთის და სხვა მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრებსა თუ მონასტრებში.

აღსანიშნავია, რომ ანგელოზებისგან იღებენ ადამიანები ღვთის ნებას. სრული ჭეშმარიტებაა მაგალითი იმისა, თუ როგორ აუწყა მთავარანგელოზმა **გაბრიელმა** მარიამ ღვთისმშობელს, რომ ის დედა გახდებოდა — კაცობრიობის მხსნელისა იესო ქრისტესი.

ხატწერაში მთავარანგელოზი ჯავშნით და ზეთისხილის რტოთი არის გამოსახული, **რაფაელი** — თევზთან და წამლის ჭურჭლით, **ურიელი** — ხმლით და ცეცხლის ალით, **სელაფიელი** — მლოცველის პოზაში, მთავარანგელოზი **ეგუდიელი** — ოქროს გვირგვინით და შოლტით, მთავარანგელოზი **ბარაქიელი** — ვარდისფერი ყვავილებით შემკულ სამოსშია, მთავარანგელოზნი **იერომიელი** და **ტახნიელი** — სასწორით ხელში არიან გამოსახულნი და ისინი მიიჩნევიან საღვთო სიყვარულის აღმძვრელად.

საგულისხმოა, რომ ანგელოზები ესწრებოდნენ ხილული სამყაროს შექმნას და ადიდებდნენ შემოქმედის სიბრძნეს და ძალას!

**P. S. მთავარანგელოზთა ხსენების დღესასწაული მსოფლიო საეკლესიო კრებამდე რამდენიმე დღით ადრე დაწესდა.**

**გიული ლიპარტია**

# ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე ირაკლი ოქრუაშვილს პატიმრობა შეეფარდა, ზურაბ ადეიშვილი კი უდანაშაულოდ ცნეს!

**სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. „ბატონ ოქრუაშვილს“ ბუტას საქმეზე 7 წელი მიუსაჯეს,** – ამის შესახებ სოციალურ ქსელში ბუტა რობაქიძის დედა **ია მეტრეველი** წერს.



როგორც **ია მეტრეველი** აღნიშნავს, **ზურაბ ადეიშვილი სასამართლომ გაამართლა, რაც მისთვის სამწუხაროა. ია მეტრეველის განცხადებით, ადეიშვილის ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ ყველა დანარჩენი სტრუქტურები და იმედი აქვს, ადეიშვილი შემდგომ ინსტანციაში გამტყუნდება.**

**მიშა რა ბრძანებასაც გასცემდა, ადეიშვილი ასრულებინებდა ყველას. იმედს ვიტოვებ, სასამართლოს შემდგომი ინსტანცია მაინც გაამტყუნებს გარეწარ ადეიშვილს. ასევე, ვაჟბატონი დონაძე, ყველა უბედურების „რეჟისორიც“ იქნება დასჯილი, კიდევ გაბედა და „აკაცუკების“ აქციებზე გამოჩნდა. ეგონა, იმარჯვებდნენ. მოვუწოდებ პროკურატურას, გაითვალისწინონ ჩემი სამართლიანი თხოვნა და აღასრულონ ბოლომდე სამართალი,** – წერს **ია მეტრეველი.**

თბილისის საქალაქო სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა მუხლს ამნისტია შეეხო და საბოლოო სასჯელის ზომად მას 5 წელი და 3 თვე განესაზღვრა.

# ტენდერში „გამარჯვებულებმა“ თანხები მოიპარეს!..

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დიდი ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტზე ოთხი პირი დააკავა.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურასთან კოორდინაციით ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების თაღლითურად დაუფლების, თაღლითობაში დახმარებისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე ოთხი პირი დააკავეს.




გამოძიებით დადგენილია, რომ დაკავებულმა პირებმა – შპს „სამშენებლო კომპანია N1“-ის ხელმძღვანელებმა 2020 წელს გაიმარჯვეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტში მდებარე ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის სრულ რეაბილიტაციას ითვალისწინებდა. ტენდერის საერთო ღირებულება შეადგენდა 6 632 130 ლარს.

შესრულებული სამუშაოებისთვის კომპანიას გადაეცა 3 432 520 ლარი, თუმცა სამუშაოები სრულად არ დასრულებულა და ხელშეკრულება შეწყდა. გამოძიებით ასევე დგინდება, რომ სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები, ინსპექტირების ორგანოების თანამშრომლების დახმარებით, ყალბი დოკუმენტაციის მომზადებისა და გამოყენების გზით, თაღლითურად დაეუფლნენ პროექტისთვის გამოყოფილ 661 163 ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 25-180-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

საგამოძიებო სამსახური განაგრძობს ინტენსიურ საგამოძიებო მოქმედებებს დანაშაულში სხვა შესაძლო მონაწილეების იდენტიფიცირებისა და დანაშაულებრივი სქემის სრულად გამოვლენის მიზნით. სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ზიანის მიყენების ნებისმიერ ფაქტზე რეაგირება უმკაცრესი იქნება.

# 200-მდე ობიექტში, თევზის შესაბოლ საწარმოებში, კრიტიკული შეუსაბამობები გამოვლინდა

**სურსათის ეროვნული სააგენტო თევზის საწარმოებს ამოწმებს. კონტროლი განხორციელდა 200-მდე ობიექტში. თევზის შესაბოლ საწარმოებში კრიტიკული შეუსაბამობები გამოვლინდა,** – ამის შესახებ ნათქვამია სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებაში.



**„სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა, გაურკვეველი წარმომავლობის საღებავის გამოყენების ფაქტები – ასეთია ჩამონათვალი დარღვევებისა, რომლებიც სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებმა გამოავლინეს. სააგენტოს უფლებამოსილმა პირებმა, სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, თევზის შესაბოლი საწარმოები, თევზისა და ხიზილალის საწარმოები, სატბორე მეურნეობები და თევზის სარეალიზაციო ობიექტები მთელი ქვეყნის მასშტაბით შეამოწმეს. დღეისათვის სახელმწიფო კონტროლი ჩატარებულია 200-მდე ობიექტში.**

**თბილისში, თევზის შესაბოლ ორ საწარმოში დაფიქსირდა კრიტიკული შეუსაბამობები, კერძოდ, არასათანადო რეცხვა-დეზინფექცია-დეზინსექცია-დერატიზაცია; თევზის შესაბოლი კამერის დაზიანებული ჭერი, ასევე, მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის დარღვევა, რის გამოც ბიზნესოპერატორები დაჯარიმდნენ და შეუჩერდათ საწარმოო პროცესი კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე.**

**მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესი, სხვა ჩამონათვალთან ერთად, ითვალისწინებს სურსათის ეტიკეტზე საკვები საღებავისა და სხვა დანამატების დასახელების დატანას. ბიზნესოპერატორი ასევე ვალდებულია, წარმოადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი. იმ შემთხვევაში, თუ ეტიკეტზე არ არის დატანილი ყველა ზემოაღნიშნული ინფორმაცია, ბიზნესოპერატორს ეკრძალება ასეთი სურსათის რეალიზება და ევალება სურსათის ბაზრიდან ამოღება-გამოთხოვა. საკვები საღებავის გამოყენება კანონმდებლობით ნებადართულია და რეგულირდება საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით, თუმცა აუცილებელია, სურსათის ეტიკეტზე მითითებული იყოს მისი სრული დასახელება და წარმომავლობა.**

**ქვეყნის მასშტაბით 200-მდე ობიექტში ჩატარებული სახელმწიფო კონტროლის შედეგად მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის დარღვევა გამოვლინდა ცხრა ბიზნესოპერატორთან. სხვა შემთხვევებში, ხიზილალისა და თევზის საწარმოებში იყენებენ მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ საღებავებს და ეტიკეტი შეიცავს ინფორმაციას გამოყენებული საკვებდანამატების შესახებ“,** – ნათქვამია სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებაში.



# ძალადობა 21 წლის გოგოზე

**დაკავებულია ყოფილი ქმარი და მამამთილი. ზუგდიდში 21 წლის გოგოზე ძალადობის ბრალდებით, მისი ყოფილი ქმარი და მამამთილი დააკავეს.**

დაზარალებული ქალი ირწმუნება, რომ მისმა ქმარმა და მეუღლის მამამ, მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით სცემეს.ასევე, მისივე თქმით, მას დაზიანებების კვალი ეტყობა სხეულზე და შესაბამისად ექსპერტიზა ჩაუტარდება. ყოფილი ქმარი და მამამთილი ამჟამად ფოთის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან. წინასასამართლო სხდომა კი ზუგდიდში გაიმართება.

## პოეტის ერთი ლექსი

# ვედრება

ჩემო სამშობლოვ, ჯავრით რასაც ვწერ,
შენ არ იფიქრო რამე გიძრახო,
არა, ძვირფასო, მოყმეს დავეძებ
და ვინმემ
**– აქ, ვარ!**
რომ დამიძახოს!

იცოდე, ღამეს, თუ თეთრად ვათევ,
გზას ვეძებ, სული ვით გაგიახლო,
რომ გარიჟრაჟის სხივთა ციაგზე
ვინმემ
**– გათენდა!**
რომ დამიძახოს.

მუხლმოდრეკილი თუ სადმე მნახო,
შენი ჯვნესამე, არ შეიცხადო,
ო, როგორ მინდა, ასეთ ჟამს, ვინმემ
**– ხელი ჩამჭიდე!**
რომ დამიძახოს.

ნუ გიკვირს, ძილში თუ რატომ ვშფოთავ,
ხან უშგულსა ვარ, ხან – ბარისახოს,
რომ ჩემს დრტვინვაზე – გაყიდეს?!
ექომ
**– არ იყიდება!**
რომ დამიძახოს...

**დადუნ თურქაძე**

# მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრები გაციფრულდა

**კულტურის სამინისტროსა და სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს" მხარდაჭერით, მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრები გაციფრულდა.**



„მერაბ აბრამიშვილი – გამჭვირვალე მეხსიერება" ბაია გალერეას მეგა პროექტია, რომლის ფარგლებში მხატვრის რეტროსპექტული გამოფენა მოეწყო, ახალი კატალოგი გამოიცა და ავტორის ვებგვერდი შეიქმნა. მერაბ აბრამიშვილი (1957-2006) თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში გამორჩეული მხატვარია, რომლის შემოქმედების არსი სიცოცხლის მარადიულობის თემას ეხმიანება".



# იორდანია-საქართველო: თანამშრომლობა გრძელდება

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა თეა ონიანმა და იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს სიძველეთა დეპარტამენტის დირექტორმა, პროფესორმა აბუ დინამ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.**

მემორანდუმის გაფორმების ცერემონიას იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, დოქტორი **ემად ჰიჯაზინი** და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში **არჩილ ძულიაშვილი** დაესწრნენ. მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეთა თანამშრომლობას მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის საკითხებში. მემორანდუმი მნიშვნელოვანი ეტაპია ორ ქვეყანას შორის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის მიმართულებით.






# „ვერიკო და სესილია" მარჯანიშვილის თეატრში

**კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, მარჯანიშვილის თეატრში ვერიკო ანჯაფარიძისა და სესილია თაყაიშვილისადმი მიძღვნილი საღამო – „ვერიკო და სესილია" გაიმართა,** – ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

**უწყების ცნობით, ღონისძიებაში, რომელსაც თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე უძღვებოდა, მონაწილეობდნენ მსახიობები: ეკა ჩხეიძე, ქეთი ჩხეიძე, ეკა მჟავანაძე, ლეო ანთაძე, ვალერი კორშია და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტები.**

**„საღამოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე, მინისტრის პირველი მოადგილე მაკა გურგენიძე და კულტურის განვითარებისა და ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი თათა სვანიძე დაესწრნენ",** – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.




# რომში გორის ქალთა კამერული გუნდის კონცერტი გაიმართება

**კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით და ვატიკანში საქართველოს საელჩოსთან თანამშრომლობით, ვატიკანის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, რომში, გორის ქალთა კამერული გუნდის კონცერტი დღეს გაიმართება.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, საიუბილეო წელი იტალიის დედაქალაქში 25 წელიწადში ერთხელ, 1300 წლიდან აღინიშნება.

# გუსტავ კლიმტის ნახატი აუქციონზე რეკორდულ ფასად გაიყიდა

**გუსტავ კლიმტის ტილო „ელიზაბეტ ლედერერის პორტრეტი" ნიუ-იორკში, Sotheby's-ს აუქციონზე 236.4 მილიონ დოლარად გაიყიდა.**

როგორც The Guardian წერს, მხატვრის ნამუშევარი გახდა მეორე ყველაზე ძვირადღირებული ხელოვნების ნიმუში, რომელიც ოდესმე გაყიდულა აუქციონზე.

გუსტავ კლიმტის ნახატი გაიყიდა რეკორდულ 236.4 მილიონ დოლარად (კომისიის ჩათვლით), რაც მას მოდერნის ყველაზე ძვირადღირებულ ნიმუშად აქცევს, რომელიც აუქციონზე ოდესმე გაყიდულა. ის ასევე მსოფლიოში მეორე ყველაზე ძვირადღირებული ხელოვნების ნიმუში გახდა.

კლიმტმა ტილო 1914-1916 წლებში დაწერა. მასზე თავისი მფარველების ქალიშვილი ელიზაბეტ ლედერერია გამოსახული.

მეორე მსოფლიო ომის დროს გოგონას პორტრეტი ნაცისტებმა მოიპარეს, შემდეგ ის თითქმის განადგურდა ხანძრის დროს. 1948 წელს ნახატი ელიზაბეტ ლედერერის ძმას ერიხს დაუბრუნეს, რომელმაც ის მოგვიანებით გაყიდა.



1985 წელს ნახატი Estie Lauder-ის მემკვიდრის ლეონარდ ლაუდერის კერძო კოლექციის ნაწილი გახდა. ყველაზე ძვირადღირებულ ხელოვნების ნიმუშად, რომელიც ოდესმე გაყიდულა აუქციონზე, რჩება ლეონარდო და ვინჩის „მსოფლიოს მხსნელი" (Salvator Mundi), რომელიც 2017 წელს 450.3 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქოგულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქოგულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგებეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში"**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 24 ნოემბერს**